ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2017 წელი, 3 ოქტომბერი, №16 (6453)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 40 თეთრი

საქართველოს უგვირგვინო მეფის, წმინდა ილია მართალის დაბადებიდან 180 წელი სრულდება

მშობლიური ყვარელი 8 ნოემბერს პატივს მიაგებს გამორჩეული მამულიშვილის ხსოვნას

ილია ჭავჭავაძის წინასაარჩევნო მიმართვა 1897 წელს

ხვალ, 18 მაისს, განკითხვის დღეა. განკითხვის დღე იმისი თუ, – ვინ უნდა მოუაროს, ვინ უნდა უპატრონოს ტფილისს ამ ოთხს წელიწადს და ვინ უნდა იზრუნოს და ისაქმოს ადამიანურის გულისტკივილითა და გულმოდგინებით ჩვენის კეთილდღეობისათვის, ჩვენის ავკარგიანობისათვის.

კანონმა ნება მოგვცა ჩვენს დედაქალაქს ჩვენვე მოვუაროთ, ჩვენვე ვუპატრონოთ ამ მხრით. ჩვენც საკმაო ხარჯს ვიხდით, რომ ეს პატრონობა, ეს მოვლა ყინულზე დაწერილი თამასუქი არ იყოს, ხარჯიც ტყუილუბრალოდ არ იქსაქსებოდეს, საქმე ჩვენდა საკეთილოდ კეთდებოდეს და კეთილი დღედადღე ემატებოდეს ჩვენს მშობელ ქალაქსა.

ყველამ ერთად, რომ პატრონობა და მოვლა მოვინდომოთ, შეუძლებელია. კანონმა ეს კარგად იცოდა და დაგვინესა უკეთესნი კაცნი რიცხვით ოთხმოცი ამოირჩიეთ თქვენ შორის და იმათ მიანდეთ ეგ პატრონობა და მოვლაო.

იცოდეთ, დიდი ცოდვა-მადლი თანა სდევს არჩევანსა და ვიდრე ხელი კენჭის ჩასაგდებად დაიძროდეს, თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს გულს, თქვენს ჭკუას რამდენჯერმე დაეკითხეთ – ვინ არის ღირსეული და ვინ არა, განურჩევლად დიდისა და პატარისა.

იცოდეთ, თქვენ გინდათ კაცი, რომელსაც თქვენი სიკეთე, თქვენი სიყვარული, თქვენთვის გულშემატკივრობა სულელობად არ მიაჩნია, რომელსაც უნდა ებრალებოდეს თქვენი თავი, თქვენი ცოლ-შვილი და თქვენი ოფლით მონაგარს ფულს, ხარჯად თქვენს მიერ გაცემულს, თქვენს კეთილად ცხოვრებას, თქვენს მშვიდობით და უშიშრად ყოფნას ახმარებდეს, რამოდენადაც ყოველივე ეს შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ მდიდარს განგებ არ აკლებდეს ქალაქის ხარჯსა და ხმაამოუღებელს შეუძლებელს განგებვე არ უმატებდეს, და რაც მდიდარს დააკლებს, ღარიბს არ ახდევინოს.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენი მიყრუებული უბნები ტალახისა და ტყლაპოებისაგან არა ჰყარდეს და მარტო მდიდართა ქუჩები არა ჰლაპლაპებდეს სიფაქიზითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ხორაგი, საქმელ-სასმელი, ქალაქის ბაზარში კარგი და საღი იყოს და თქვენ არ გახდენდნენ, არ გაფუჭებდნენ და ამ მხრით უშიშარ იყვნეთ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ პურს, ღვინოს, საქმელ-სასმელს ჩარჩები თუ სხვა ვინმე განგებ მამასისხლად არ ჰხდიდნენ და ამით თქვენ და თქვენს ცოლ-შვილს არ უძვირებდნენ საჭირო საზრდოს და საკვებსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ქალაქის მოხელეებს ხელსა და კალთას არ აფარებდნენ, როცა იგინი არ ვარგანან და ტყუილუბრალოდ სჭამენ თქვენის ოფლით მონაგარს ფულსა ჯამაგირების სახითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ბუნებითად კეთილი ჰაერი თქვენის დედაქალაქისა არ იშხამებოდეს უწმინდურების სიმყრალითა და არა გშხამვიდეს თქვენ, თქვენს ოჯახს, თქვენს წვრილშვილსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ წყალი უვნებელი და მოუწყვეტელი გქონდეთ და ამასთანაც, რაც შეიძლება იაფი.

თქვენ გინდათ კაცი, რომ რაკი ხორაგს თუ სასმელს ბაზარში ჰყიდულობთ, დახათრიჯამებული იყვნეთ, რომ წამხდარს და მოწამლულს არ შემოგაპარებენ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენს წვრილშვილებს სწავლა-განათლების გზა და სახსარი მისცეს, გული კეთილს შეუჩვიოს, ჭკუა სჯასა და მოსაზრებასა, რამდენადაც შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თითქმის ორ მილიონამდე ყოველწლივ შემოსავალი ქალაქისა, თქვენგანვე ხარჯად აღებული, თქვენვე და თქვენს ქალაქს საერთოდ ჰხმარდებოდეს გამოზოგვითა და ცოდნითა და არა აქეთ-იქით იფანტებოდეს გულდაუდებლობით და უთადარიგობითა.

ვისაც ხელი მიგიწვდებათ, ყველანი უნდა მიხვიდეთ არჩევანზე და თქვენი მოქალაქური, კაცადკაცური მოვალეობა გადაუხადოთ თქვენს მშობელ ქალაქსა.

იცოდეთ, რომ ვისაც ხვალ ჩაბარებთ საბჭოში ხმოსნობას, იმას აბარებთ მთელის ოთხის წლის თქვენს საერთო სვე-ბედსა, თქვენის ოჯახობის საერთო კეთილსა და ბოროტსა. ოთხი წელიწადი ბევრის რისამეა შემძლებელი, ავიც შეიძლება ბევრი მოგვაყენოს კარს და კარგიც.

გულს ნუ გაიმრუდებთ, სულს ნუ წაიწყმედავთ! იცოდეთ, ეს დიდი საქმე თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს პატიოსნებას აბარია. ახსენეთ ღმერთი, და ღვთისა და მართლის სახელით, შეუდექით არჩევანის დიდს საქმეს და მარჯვენას თქვენსას ის არ აქმნევინოთ, რასაც გული და სინდისი არ გეუბნებათ.

ვიმედოვნებ, თვითმმართველობის არჩევნები ჩაივლის მშვიდ ატმოსფეროში და ხალხის რჩეულები იქნებიან ღირსეული ადამიანები

ბევრჯერ დაწერილა და თქმულა, მაგრამ ახლაც უნდა გავიმეორო – 2012 წლის 2 ოქტომბრამდე ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მიხეილ სააკაშვილის გუნდი საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდებოდა და ოცნება დიდი უპირატესობით გაიმარჯვებდა. ეს ხომ ცამოწმენდილზე მეხის გავარდნის ტოლფასი იყო, ვინაიდან წინასაარჩევნო პერიოდში ოცნების წარმომადგენელთა მიმართ ყველგან რეპრესიები მძვინვარებდა და არც ყვარელში იყო მშვიდი ატმოსფერო.

განსაკუთრებულ ზენოლას ოცნების ადგილობრივი, ყვარლის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელები განიცდიდნენ,მაგრამ რეპრესიებს არ შეუშინდნენ. ერთ-ერთი მათგანია ქ. ყვარლის მკვიდრი, ნიჭიერი, უბოროტო და მუდამ მომღიმარი პიროვნება მალხაზ ხიზანიშვილი, რომელიც უკვე ხუთი წელია ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ მუშაობს და უპრეტენზიოდ, კეთილსინდისიერად ასრულებს თავისზე დაკისრებულ მოვალეობას. ასეთმა მიდგომამ განაპირობა ის ხელშესახები წარმატებები, რომლებიც მის საკურატორო სფეროშია დაფიქსირებული. უფრო დეტალურად რომ გავრკვეულიყავი, ბატონ მალხაზს ვესტუმრე და ვთხოვე გულახდილად ესაუბრა საკურატორო სფეროებში მიმდინარე საქმიანობაზე.

– ბატონო მალხაზ, თქვენი წარმოდგენით რამ განაპირობა პროგრესული წინსვლა სპორტულ საქმიანობაში?

– პროგრესული წინსვლა სპორტულ საქმიანობაში განაპირობა სკოლის დირექციისა და მწვრთნელთა შეთანხმებულმა მუშაობამ, სასწავლო საწვრთნო პროცესის სწორად დაგეგმვამ და სპორტულ ღონისძიებებში აქტიურმა მონაწილეობამ.

– უპრიანი იქნება დეტალურად წარმოაჩინოთ შედეგები, რომლებიც ჩვენმა სპორტსმენებმა განვლილ ხუთ წელიწადში მოიპოვეს.

– მართლაც თვალსაჩინო წარმატებები აქვთ მოპოვებული ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებს. 2013 წელს საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში გახდა თეა სუხიტაშვილი, მანვე ევროპის ჩემპიონატზე სამბოში დაიკავა მესამე ადგილი.

2014 წელს თეა სუხიტაშვილმა მსოფლიო ჩემპიონატზე სამბოში დაიკავა მეორე ადგილი. პლიაჟის ხელბურთში საქართველოს ჩემპიონები გახდნენ ჩვენი ხელბურთელი გოგონები. საქართველოს ჩემპიონები გახდნენ ილია ბითარიშვილი და ჯუმბერ ჩიხიაშვილი ქართულ ჭიდაობაში.

2015 წელს ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი გახდა ზურაბ იაკობიშვილი, მანვე ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვა ვერცხლის მედალი.

ახალგაზრდებში საქართველოს ჩემპიონი გახდა რობერტ დინგაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), მანვე მოიგო ბულგარეთისა და ირანის საერთაშორისო ტურნირები, ევროპის ჩემპიონატზე კი დაიკავა მესამე ადგილი.

კვიპროსში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე ძიუდოში ჭაბუკთა შორის ჩემპიონები გახდნენ გაგნიძე, ქინიძე და წიკლაური, ხოლო ახალგაზრდებში – გულიაშვილი და კოჭლამაზაშვილი. ხელბურთელ გოგონათა ნაკრები გუნდი საქართველოს ჩემპიონები გახდნენ

კლასიკურ ხელბურთში. მათვე მეორედ მოიგეს ქვეყნის ჩემპიონობა პლიაჟის ხელბურთში.

– მიუხედავად ფინანსური გაჭირვებისა როგორ შეძელით, რომ ჩვენს სპორტსმენებს უამრავ სპორტულ ასპარეზობებში მიეღოთ მონაწილეობა?

– 2016-2017 წლებში ფინანსების სიმცირის გამო მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატებში მივიღეთ მონაწილეობა.

ქვეყნის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში გახდა ზურაბ იაკობიშვილი, ხელბურთელმა გოგონებმა მეორედ მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა, ხოლო პლიაჟის ხელბურთში მესამედ გახდნენ საქართველოს ჩემპიონები.

საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა სოსო ჭუნიაშვილმა კრივში. ეს მცირე ჩამონათვალია იმ მიღწევებისა, რაც ჩვენმა სპორტსმენებმა მიაღწიეს ბოლო წლებში, გვყავს საერთაშორისო ტურნირების მრავალი გამარჯვებული და პრიზიორი, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს.

– ფინანსურ დახმარებას თუ უწევდნენ ჩვენი ბიზნესმენები და ვინ იყვნენ ეს ადამიანები?

– ბიზნესმენების მხრიდან კი მხარდაჭერა არ აქვთ ჩვენს სპორტსმენებს. ზოგჯერ ტურნირზე გუნდის გასამგზავრებელი ფინანსები არ გვქონია, მწვრთნელებს დახმარებისათვის მიუმართავთ შეძლებული ბიზნესმენებისათვის, მაგრამ საპასუხოდ ზოგჯერ უარით გამოუსტუმრებიათ

– ყველაზე დიდი წარმატება ზურაბ იაკობიშვილის მსოფლიო ჩემპიონობაა, თქვენი თვალთახედვით იზრდებიან ისეთი პერსპექტიული ახალგაზრდები, რომლებიც ასეთ წარმატებას მიაღწევენ?

– ზურაბ იაკობიშვილის მსოფლიო ჩემპიონობამ მართლაც დააგვირგვინა სპორტული სკოლის მიღწევები. იმედია ბატონი ზურაბი ოლიმპიადაზეც გვასახელებს და ყვარელებს ოლიმპიური ჩემპიონიც გვეყოლება.

ამჟამად გვყავს პერსპექტიული, იმედის მომცემი ახალგაზრდები თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში, ქართულ ჭიდაობაში, კრივში და ხელბურთში.

საქართველოს ნაკრებში გვყავს 5 ხელბურთელი, თავისუფალ ჭიდაობაში – 6 და კრივში 2 სპორტსმენი. ჭადრაკში თავი გამოიჩინა საბა სეფიშვილმა, რომელიც პერსპექტიულ მოჭადრაკედ იქნა აღიარებული.

– თქვენი საკურატორო სფერო-

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე



ვიმედოვნებ, თვითმმართველობის არჩევნები ჩაივლის მშვიდ ატმოსფეროში და ხალხის რჩეულები იქნებიან ღირსეული ადამიანები

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

დან კულტურულ საქმიანობაშიც დიდი მიღწევებია, ვინაიდან საზეიმო ღონისძიებებში ადგილობრივი ანსამბლები იღებენ მონაწილეობას და უმაღლეს დონეზე ასრულებენ სიმღერებსა და ცეკვებს. რამ განაპირობა ასეთი წინსვლა?

– ყვარელს ტრადიციულად ყოველთვის ჰყავდა გამოჩენილი მომღერლები და შემოქმედი ადამიანები. ავიღოთ ლადო აღნიაშვილის მოღვაწეობა, რომელმაც პირველი ქართული ხორო ჩამოაყალიბა და აღადგინა ქართული ფოლკლორული სიმღერები. მომღერლები დედას ლევანა და მერი შილდელი, შესანიშნავი ლოტბარი შალვა ქვაჭრელიშვილი, რომლის გუნდი ფოლკლორული სიმღერების ფესტივალზე ყოველთვის გამორჩეული იყო.

ხოლო ანსამბლ რუსთავიდან ირაკლი მათიკაშვილის მშობლიურ ყვარელში დაბრუნებამ კიდევ უფრო გააძლიერა ფოლკლორული მიმართულებით დაწყებული საქმიანობა.

ირაკლიმ შეძლო, რომ ყვარელში ჩამოყალიბებულიყო საქართველოს ფოლკლორის ცენტრთან არსებული ყვარლის ფილიალი, რაც წარსულ წლებში მხოლოდ ოცნებად რჩებოდა. ხოლო მისი ფოლკლორული ანსამბლი „ხეურო“ ყველა ფესტივალზე წარმატებით გამოდის და ხშირად მთავარ პრიზებს ეუფლება.

– ათეულ წელზე მეტია ყვარლის თეატრში ადგილობრივი ძალებით სპექტაკლი არ გამართულა, ახლახანს კი პირველი სპექტაკლი ვიხილეთ, რომელიც დიდხანს დაამახსოვრდებათ ყვარლელებს, თქვენი კომენტარი?

– მართლაც დიდი ხნის განმავლობაში თეატრალური დასი ყვარელში არ არსებობდა, მაგრამ მიმდინარე წლის 19 სექტემბერს კოტე მარჯანიშვილის სახელობის ყვარლის თეატრში ვიხილეთ პირველი სპექტაკლი – „ანგელოზები ტირიან“, რომელშიც მხოლოდ ადგილობრივი მსახიობები მონაწილეობდნენ. სპექტაკლმა მართლაც მოხიბლა მაყურებელი და უმაღლესი შეფასებაც დაიმსახურა..

რასაკვირველია, სპექტაკლამდე უდიდესი შრომაა გაწეული, რათა ასე ლამაზად დაგვირგვინებულიყო წამოწყებული საქმე. დიდ მადლობას ვუხდი გამგეობის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელს ირაკლი მათიკაშვილს, რეჟისორს მერაბ ჩხაიძეს, მსახიობებს, რომელთაც ურთულეს საქმეს თავი შესანიშნავად გაართვეს და დაუვიწყარი სპექტაკლის ნახვის შესაძლებლობა მოგვცეს.

– ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ერთი თვეღა დარჩა, თქვენი სავარაუდო პროგნოზი – რა შედეგებით დამთავრდება?

– ვიმედოვნებ,თვითმმართველობის არჩევნები ჩაივლის მშვიდ ატმოსფეროში და ხალხის რჩეულები იქნებიან ღირსეული ადამიანები. შედეგებს წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს, მაგრამ ოცნებიდან ისეთი კანდიდატები არიან წარდგენილნი, რომ მხარდაჭერა უთუოდ ექნებათ მოსახლეობიდან.

– და ბოლოს დელიკატური კითხვა, როდის ფიქრობთ ოჯახის შექმნას, რადგანაც ქვეყანაში დემოგრაფიული მონაცემები საგანგაშოა, ერს გამრავლება მეტად სჭირდება და თითოეულმა ახალგაზრდამ ამ საშვილიშვილო საქმეში მოკრძალებული წვლილი უსათუოდ უნდა შეიტანოს.

– ოჯახის შექმნა ურთულესი პრობლემაა და მის გადასაწყვეტად დაფიქრებაა საჭირო. ვფიქრობ უახლოეს პერიოდში ეს პრობლემა დადებითად გადავწყვიტო.

გმადლობთ ბატონო მალხაზ გულახდილი საუბრისათვის. გისურვებთ წარმატებებს საზოგადოებრივ საქმიანობაში და ოჯახური პრობლემების მოგვარებაში.

ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი

წმინდა სამებას

ღმერთო ძლიერო, შენ შექმენი ქვეყნად სამყარო,
შენ აზიარე სიცოცხლის სხივს ყველა სულდგმული,
ჩვენი ვალია ჩავუნერგოთ შთამომავლობას
შენდამი რწმენა, თაყვანისცემა და სიყვარული.

თუ რწმენა არ გაქ, არ გაქ რიდი ვინმეს ან რამის,
შენ ურწმუნო ხარ, ურჯულო და გადამთიელი
დაგწყევლის ღმერთი, შეგაჩვენებს როგორც სატანას,
და სამუდამოდ შეგიძულებს თვით შენი ერი.

რაოდენ რთულიც უნდა იყოს ეს გასაჭირი,
ჩვენ მას ავიტანთ, უხმაუროდ და მოკრძალებით
ქვას ქვაზე დავდებთ, შევაგროვებთ შეწირულობებს,
რომ შენს გუმბათზე წკრიალებდნენ დიდი ზარები.

რომ შენი წმინდა კედლებიდან ღვთისმშობლის მზერა,
ვით ბადრი მთვარე გაჰფანტავდეს ღამეულ უკუნს,
რომ შენს წინაშე წყვილი სანთლის იდგეს ქართველი
და ყურს უგდებდეს საზეიმო ზარების გუგუნს.

ღმერთო ძლიერო, დაიფარე ერი ქართველი,
მას შენი ლოცვა და კურთხევა ფარად აფარე
და შენსა წილხვედრ საქართველოს მრავალჯერ ტანჯულს
გასაჭირის დროს შენი კალთა გადააფარე.

ოთხი შვილი და ორი დიპლომი

თბილისს ვმგზავრობდი მე მატარებლით,
ჩემთვის კუთხეში ვიჯექი უბრად,
მოპირისპირე წინა სკამიდან
მე ქალბატონი გამესაუბრა:

მკითხა – საიდან, სად მივდიოდი?
რად მივდიოდი ასე ადრიან?
ვუპასუხე, რომ მყავს ოთხი შვილი,
ყველა იქ სწავლობს და იქ არიან.

ამ საუბარში გავშინაურდით,
ვკითხეთ ერთმანეთს პროფესიები,
მასწავლებელი და იურისტი,
ვუმზერდით ერთურთს კმაყოფილებით.

დაინტერესდა – რა საგანს ვფლობდი
და ის ვიხილე ჩემს გვერდში მდგომი,
– ისტორია და რუსული ენა,
– ვუთხარი, რომ მქონდა ორი დიპლომი.

ნეტავ გენახათ, რა მოხდა მასში,
აზრთა ჭიდილი, გრძნობათა ომი,
მან განცვიფრებით წამოიძახა
ოთხი შვილი? და ორი დიპლომი?!

იდგა უხმოდ და შემომცქეროდა,
მე მის თვალებში ვიყავი ლომი,
კვლავ განცვიფრებით იმეორებდა,
ოთხი შვილი და ორი დიპლომი?!

აბა, ქალობა შენ დაიკვეხე,
შენ დაიკვეხო უნდა დედობა,
გადამეხვია ის სიყვარულით
და წასასველად დამემშვიდობა.

მარიამ მამულაშვილი,
ყვარლის II საჯარო სკოლის პენსიონერი პედაგოგი

გაზეთ „ყვარლის“ ფურცლებზე გადმოტანილი ერთი ჩვენი მოქალაქის ფიქრები

ამ წერილის დაწერა მოახლოებულმა არჩევნებმა გადამაწყვეტინა. არ ვიცი, რაიონის ხელმძღვანელად ვინ მოვა, რომელი პარტიის წარმომადგენელი. მთავარია, ადამიანების კეთილდღეობისათვის მზრუნველი და თავის რაიონზე უსაზღვროდ შეყვარებული იყოს. სამართლიანად ამბობდა ვაჟა-ფშაველა: „მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ, თუა ქართული გვარისა“.

ახლა კი მინდა გესაუბროთ, ნგრეულად ქცეულ შენობაზე, რომელსაც ყვარლის მესამე საშუალო სკოლა ერქვა. ნეტავ, ვის მოუვიდა აზრად მისი დანგრევა. მკვიდრად ნაშენი შენობა გაოცებას იწვევდა და მნგრეველნიც უნებურად ამბობდნენ: რა ხელმა ააგო, როგორ გამოკვეთეს? და მაინც ანგრევდნენ, ქვები კვნესოდნენ, პედაგოგები ტიროდნენ და ყოველივე ეს რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

2011 წელს დაინგრა სკოლის ტიპიური შენობა. ობლად დარჩენილი პედაგოგები ყვარლის მე-2 საჯარო სკოლამ შეიფარა. მიუხედავად აღნიშნულისა, მისულები მაინც „გერებად“ თვლიდნენ თავს.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მე-3 საშუალო სკოლა იმ დონის პედაგოგებით იყო დაკომპლექტებული, რომ ტოლს არც ყვარლის სკოლებსა და არც რესპუბლიკის ბევრ მონინავე სკოლას არ უდებდა.

დანგრევა ადვილია, აშენებაა ძნელი. სკოლა დაიხურა, შენობას რას ერჩოდნენ? რამდენი უბინაო ადამიანის დაკმაყოფილება შეიძლებოდა, ანდა გახსნილიყო რაიმე საწარმო, რაც ხელს შეუწყობდა მოსახლეობის დასაქმებას. დასასვენებლად და გასართობად, თუ კი კარგად გააკეთებდნენ, კიროვის ბაღიც გამოდგებოდა.

მესამე სკოლელებს ნოსტალგია თანდათან უფრო გვიმძლავრდება; თავს ვინუგეშებთ ერთმანეთთან შეხვედრით, სადაც ხშირად გაისმის სიტყვები: გახსოვს? რა კარგი იყო, რა საოცარი გაკვეთილები ჩაატარეს დაწყებითი კლასის მასწავლებლებმა და ასე შემდეგ. გულზე მოწოლილ სევდასა და მონატრების დიდ სურვილს ეს გვატანინებს.

მადლობა უფალს, ვაჟა-ფშაველას ხმელი წიფლისა არ იყოს, არც მესამე საშუალო სკოლაა დავიწყებული. მისი კურსდამთავრებულნი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მოღვაწეობენ და საკუთარ სიტყვასაც ამბობენ. მათი პედაგოგებისათვის კი

ტკივილსა და მოგონებებს
აღარა აქვს ზღვარი,
ო, რა უღვთოდ, რეკავს
წუთისოფლის ზარი.

სულ რაღაც ერთ თვეში გაირკვევა, თუ ვინ იქნება რაიონის ხელმძღვანელი. მას ვუსურვებ წარმატებებს პირადსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. მინდა იცოდეს, რომ ხელმძღვანელობა ძალიან რთულია. თითოეული ადამიანის ტკივილი უნდა სტკიოდეს, ქვათა ღაღადისიც უნდა ესმოდეს და, რაც მთავარია,

„თავზარსა სცემდეს სიკვდილსა,
ზედ ქორებულად ფრინავდეს,
სიცხეში სიოდ დაჰბეროს,
დაათბოს, როცა ჰყინავდეს,
სწორ ფიქრს აძლევდეს
თემ-სოფელს,
ცთუნება არა სძირავდეს“
/ვაჟა-ფშაველა/.

და კიდევ ცხოვრების მეგზურად გაიხადოს ბრძენი ილიას სიტყვები: „თუ სამართლიანი ხარ, სავსე კაცი ხარ“. ცოდნასთან ერთად იგი უნდა გამოირჩეოდეს ზნე-ხასიათითაც.

რაიონის მომავალო პირველო კაცო, თუ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება არ შეგიძლიან, მაშინ დროულად თქვი უარი საპატიო და მძიმე ტვირთის ზიდვაზე.

ჩემო საყვარელო ყვარლელებო, რაც რამ ვთქვი, თქვენთვის ვთქვი. დროა ვისწავლოთ სამართლიანი მოთხოვნებისათვის ბრძოლა. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ რაიონის ხელმძღვანელის უპირველესი მოვალეობა ხალხის სამსახურია.

მაშ ასე, გზა დავულოცოთ იმას, ვისაც კარგად ესმის და გათავისებულიც აქვს ყოველივე ეს.

ზეინაბ ჭიჭიკოშვილი

ვჭამთ თუ არა რეალურად „ნამდვილ პურს“ – რა უნდა იცოდეს მომხმარებელმა

პური რომ ადამიანისთვის აუცილებელი პროდუქტია, ამას უფლის მთავარი ლოცვაც გვიდასტურებს – „პური ჩვენი არსობისა“... ამ პროდუქტზე ზრუნვა მნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ ყოველდღიური კვების პროდუქტია, არამედ მასზე ბევრი რამ არის მიბმული, – გვეუბნება პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ ჯიბუტი, რომელმაც პროექტის „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის სრულყოფა და მცირე ფერმერების მხარდაჭერა“ ფარგლებში კვლევა მოამზადა, რაც ბრიტანული ორგანიზაცია „ოქსფამის“ მიერ იყო ინიცირებული.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების დიაგნოსტიკური გამოკვლევის შედეგად არც ისე კარგი ფაქტები გამოიკვეთა. ამჯერად ბატონ მიხეილთან პურის გარშემო გვინდა ვისაუბროთ.

– დავიწყოთ იმით, რომ საქართველო ვერ აწარმოებს პურს იმ ოდენობით, რამდენსაც მოიხმარს და სჭირდება. უფრო სწორად, საქართველოში ხორბლის მარცვალი უკვე 4-5 წელია, 10-12 პროცენტი იწარმოება. ეს მაჩვენებელი ერთი პერიოდი 8 პროცენტამდეც იყო დასული, რაც კატასტროფაა. პური ისეთი საბაზო პროდუქტია, რომელიც სასურსათო მოხმარების მდგრადობას განსაზღვრავს. კრიტიკულ მომენტებშიც კი ამ პროდუქტზე მოსახლეობას უარის თქმა არც ერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, არ შეუძლია, რადგანაც ჩვენთან პურს მოხმარებაში დიდი წილი უკავია, – მოხმარების სტრუქტურაში ის დაახლოებით, 60-დან 70 პროცენტამდე მერყეობს.

– იქ, სადაც ეს საკითხი მოგვარებულია, როგორ არის საქმე?

– მიიჩნევენ, რომ პურის მოხმარება სტრუქტურაში 20-დან 25 პროცენტამდე უნდა მერყეობდეს. სხვა საკითხია და პრობლემაა, რომ ეს პროდუქტი დაბალი ხარისხის და არაჯანსაღია, – ეს თემაც წინამორბედ პრობლემას ებმის, რის გამოც საფრთხის წინაშე ვართ!

მოკლედ, თავად ხორბლის პროდუქტის თვითუზრუნველყოფა საქართველოში მხოლოდ ერთი თვეა საკმარი, ანუ ქვეყანას თავისი შესაძლებლობით შეუძლია თავი ერთი თვე ირჩინოს, აწარმოოს ერთი თვის საარსებო ხორბალი, თან მაშინ, როცა ამ პროდუქტს ასეთი დიდი მოხმარება აქვს, რადგანაც კვების სტრუქტურაში, ნაკლებია ხორცის, თევზეულის, ბოსტნეულის, რძის ნაწარმის, ხილის გამოყენება. ამიტომ ამ კომპონენტების შევსება ხდება პურით.

პური კი ავსებს ორგანიზმს, მაგრამ მას საჭირო მიკროელემენტები თუ ბევრი სხვა რამ აკლდება, რის გამოც ორგანიზმი იფიტება და ზოგადად, ერი ასეთი კვებით სუსტდება. თან, ეს იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი ხარისხიან პურს იღებს. წარმოიდგინეთ, რომ ამ შემთხვევაშიც ძალიან ცუდი მაჩვენებელია. მეორეა, რომ წლებია, ადამიანი უხარისხო პურს ჭამს.

– რა განსაზღვრავს მის უხარისხობას?

– პურის უხარისხობა მრავალი კომპონენტითაა განპირობებული, – ეს არის დაბალი ხარისხის ხორბალი, ასეთივე ფქვილი და ყველაზე ცუდი რაც არის, პური ნაწარმოებია არა ბუნებრივი, არამედ ხელოვნური (სინთეტური) საფუარით. თუკი რაიმე ცუდი ელემენტი არსებობს, კაცი რომ ვერც წარმოიდგენს (კარცეროგენური შემადგენელობაც) ამ პროდუქტშია თავმოყრილი. ამიტომ მწარმოებლები ასეთ ფრაზას ამბობენ, – „იმდენ საფუარს არ ვუშვრები“, მაგრამ არც ერთი რეკლამა, განაცხადი იმასთან დაკავშირებით, რომ პური საფუარის გარეშეა ნაწარმოები, საქართველოში არ დასტურდება. ეს ფრაზები დროებითია და მინირეკლამის დატვირთვა აქვს, რაც მალევე ქრება.

– დიფერენცირებაც არ ხდება ამ პროდუქტის, ხომ?

– „სპეციალური პური“, „დიაბეტური პური“, „შავი პური“ და ა.შ. სინამდვილეში არ არსებობს. არ დასტურდება იმიტომ, რომ იმ მასის პური, რაც ცხვება და იყიდება, შესაბამისი ნედლეული, ფქვილი არ შემოდის, რომ ადამიანებმა მივიღოთ. ეს შეუსაბამოებები არსებობს.

– პური მართლაც იღებება?

– იღებება, ამაზე ის ფრაზაც მეტყველებს, როდესაც მწარმოებელი ამბობს, – „არ ვღებავ“. ეს პურის მცხობელებისგან საოცარი სლოგანი გახდა. თუმცა უკვე სასაცილოა მისი მოსმენა, რადგანაც მასში გამჟღავნებულია ინფორმაცია, რომ პური მართლაც იღებება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მკრეხელობაა. სპეციალისტები პურთან დაკავშირებით სხვადასხვა პრობლემაზე მიუთითებენ და ეს საკითხი სახელმწიფო დონეზე გაურკვევლობას იწვევს იმიტომ, რომ ჩვენთან ფასები პურზე და პროდუქტებზე გათავისუფლებულია. მომხმარებელი ყიდულობს იმ ფასად, რასაც რეალიზატორი სთავაზობს, ისინიც თავისუფლები არიან ფასწარმოქმნაში. ასეთ დროს სახელმწიფომ უნდა შეასრულოს „ღამის დარაჯის“ როლი, ანუ უნდა დაინტერესდეს საკითხით, ამ სფეროში არის წესრიგი თუ არა. ევალება, დაიცვას წესრიგი და დაიცვას მომხმარებელთა ინტერესები, რადგანაც ჩვენ არ შეგვიძლია კვების ინდუსტრიული პროდუქტების ხარისხის მასობრივად შემოწმება. ამიტომ ვქირაობთ სახელმწიფოს და ვთხოვთ, შეასრულოს ეს ფუნქცია, რაც სამწუხაროდ, არ სრულდება და არის საგანგაშო მდგომარეობა!

აქედან გამომდინარე, პური შეიძლება იყოს პლატფორმა იმისთვის, რომ საზოგადოებამ ერთობლივად გამოხატოს თავისი პოზიცია, რამდენად ეფექტიანია ხელისუფლება. პურთან მიმართებაში, ხელისუფლებაზე თქვა ყველაფრი ცუდი, ისეთი სავალალო მდგომარეობაა, დასაშვებია!

პური უნდა იყოს დიფერენცირებული პროდუქტი, ადამიანებს ჰქონდეთ სწორი ინფორმაცია, რომ არსებობს დაბალი, საშუალო და მაღალი ხარისხის პროდუქტი, იყოს საფუარით და უსაფუაროდ და მომხმარებელი თვითონ შეარჩევს, რა იყიდოს, მაგრამ უნდა მიანოდო ამის შესახებ ინფორმაცია, რაც განსაზღვრავს შემდგომ მათ ქცევას. ვიმეორებ, ეს არის ის პლატფორმა, სადაც საზოგადოებამ ერთობლივად უნდა ამოიღოს ხმა. ხელისუფლება აიძულოს ამ მიმართულებით თავის ფუნქცია შეასრულოს! რადგანაც ეს სავალალო მდგომარეობა ადამიანს თოფით არ კლავს, მაგრამ აავადებს მთლიანად საზოგადოებას!

– თავად ფქვილის ხარისხზე რა შეგვიძლია ვთქვათ?

– ცნობილია, რომ ხდება ფქვილის გათეთრება სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებებით. ამასთან, არსებობს ხორბლის დაბალი ხარისხიც, რომლისგანაც ზოგადად ფქვილი მიიღება.

ბოლო წლებში ხორბლის და ფქვილის ძირითადი მომწოდებლები არიან: რუსეთი, უკრაინა და ყაზახეთი. ცოტა ჩვენც გაგვაქვს ზოგიერთ ქვეყანაში, მაგრამ ეს უმნიშვნელო რაოდენობაა, ძირითადი იმპორტი სამი ქვეყნიდანაა.

მოკლედ, სახელმწიფომ უნდა შეასრულოს ის, რაც ევალება. ამიტომ, ვისაც როგორ შეუძლია, ამასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ყვირილი თუ არა, საზოგადოებრივი ჩურჩული უნდა ატყდეს, რომელიც სამზარეულოდან სამზარეულოში, ქუჩიდან ქუჩაში, ოჯახიდან ოჯახში გადაინაცვლებს და ერთი აზრი შეიკვრება.

ლალი ფაცია

ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტი (პირობიანი აუქციონი)



ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA990101512429017

№ 811 29 / სექტემბერი / 2017 წ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების; საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მესამე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი №1).

2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს მალხაზ ხიზანიშვილს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 მაისის №330 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის „საპრივატიზაციო და სააუქციონო" კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24).

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი

მალხაზ ხიზანიშვილი

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

2. სააუქციონო პირობები:

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%–ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე"–ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე"–ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563390; 300563313.

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე" — ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე" არ დაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლების კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასსზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასური, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

8. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების შესაბამისად.

9. აუქციონი ტარდება 2017 წლის 2 ნოემბერს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2017 წლის 4 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1

10. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტების და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1 — ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი 599 855 993 ; 595 903 322; 599 855 966; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

ლოტის №	ქონების დასახელება და მისამართი	არასასოფლო მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე" (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)
1.	ქ. ყვარელი (ფატმასურის დასახლება)	7535	1404	57.06.68.536	143490	28698	7175	50
2.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	774	-	57.06.68.650	925	185	46	50
3.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	655	-	57.06.68.644	677	135	34	50
4.	ს.საბუე	2234	-	57.09.57.121	6 000	1200	300	50
5.	ქ. ყვარელი სარიტუალო მომსახურების ბიურო	2034	47	57.06.57.005	5200	1040	260	50
6.	ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	775		57.06.68.652	930	186	47	50
7.	ავტომანქანა „ჯიპ ჩეროკი"	1993	GEG-543	1675	335	84	50	50

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2017 წლის 3 ნოემბერს, 14 საათზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქუჩა №1) გაიმართება ყვარლის მუნიციპალიტეტში „ავანი ჰესის" და ქ/ს „ახალსოფელი — 35"-ის დამაკავშირებელი 35 კვ-იანი საკაბელო-საჰაერო ელექტრო გადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობაში შეტანილი ცვლილება ითვალისწინებს საპროექტო ეგხ-ს დერეფნის დაგრძელებას 1,2 კმ მანძილით. აღნიშნული ცვლილება განაპირობა მშენებარე ავანი ჰესის საგრეგატო შენობის განთავსების ადგილის შედარებით ზედა ნიშნულებზე გადატანამ.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში — ქ. ყვარელი, კუდიგორის ქუჩა №1;
- შპს „გამა კონსალტინგი"-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- გიორგი ბჟალავა. ტელ: 595287560; E-mail: goga@gamma.ge;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

შპს „ენერგო ინვესტი"-ს ადმინისტრაცია

რა შეიძლება გამოიწვიოს ვაშლის ხშირად ჭამამ?

ვაშლი სუპერხილად ითვლება. იგი ჯანმრთელობისთვის აუცილებელია. ვაშლი პექტინების ბუნებრივი წყაროა, რომელიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტში არ გადამუშავდება, სამაგიეროდ ორგანიზმში განმენდის, დასუფთავების ფუნქციას ასრულებს. პექტინი ნაწლავებში ახდენს ნივთიერებათა ცვლის პროცესის აქტივაციას, მავნე პროდუქტებს, მძიმე ლითონებს, რადიონუკლიდებს, ტოქსინებს და ა.შ. გამოდევნის.

მაინც რისთვის არის კარგი ვაშლის ხშირი მიღება?

ალბათ არ იცოდით, რომ ვაშლი ხელს უწყობს კბილების სითეთრის შენარჩუნებას. ვაშლის კბეჩა და ღეჭვა ნერწყვის სტიმულირებას უწყობს ხელს, რაც კბილების დაზიანების რისკებს ამცირებს.

ვაშლი ასევე ალცჰაიმერის პრევენციას უწყობს ხელს და ეს ახალმა კვლევამაც დაადასტურა.

გარდა ამისა, კვლევებმა აჩვენა, რომ ვაშლის მიღება პარკინსონის დაავადების რისკებსაც ამცირებს. კიბოს კვლევის ამერიკული ასოციაციის მეცნიერები კი აცხადებენ, რომ ვაშლის მიღება ამცირებს პანკრეასის სიმსივნის განვითარებას 23 პროცენტით.

ისინი, ვინც დღეში მინიმუმ 1 ვაშლს ჭამენ, 28 პროცენტით ამცირებენ დიაბეტის რისკს, ვიდრე ისინი, რომლებიც არ ჭამენ. გარდა ამისა, ვაშლი სისხლში ქოლესტერინის დონეს ამცირებს და გულს სიჯანსაღეს უნარჩუნებს.

ამასთან, ვაშლის ხშირი მიღება იმუნური სისტემის გაძლიერების, წონის კონტროლისა და ნაღვლოვანი კენჭების პრევენციასთან ერთად, სასარგებლოა თვალისთვისაც. ბოლო კვლევებმა ცხადყო, რომ ვაშლის ყოველდღიური მიღება კატარაქტას წარმოქმნას ხელს უშლის.

თუმცა, აქვე საჭიროა ვისაუბროთ ვაშლის უარყოფით მხარეებზეც.

როგორც მედიკოსთა ნაწილი ამბობს, ვაშლი საკმაოდ კალორიული ხილია. კერძოდ, საშუალო ზომის ვაშლი დაახლოებით 100 კალორიას მოიცავს. ამასთან, ზოგ ადამიანს ვაშლის მიღების შემდეგ კუჭის ტკივილი ეწყება. იშვიათ შემთხვევებში ვაშლმა შესაძლოა, ალერგიაც გამოიწვიოს. თუმცა, ეს იმ ადამიანებმა უნდა გაითვალისწინონ, რომლებიც ალერგიისკენ მიდრეკილი არიან.

და ბოლოს, ვაშლის ჭამისას დააკვირდით ის იყოს ბიოპროდუქტი და არა პესტიციდებით გაჟღენთილი.

ქერი – თესვა, მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია და ჯიშები

ქერი მსოფლიოს უძველესი კულტურაა, საერთაშორისო მონაცემების მიხედვით ის კულტურაში შევიდა 7000 წლის წინათ. მოიცავს 50 სახეობას და ზღვის დონიდან 5000 მეტრზეა გავრცელებული.

საქართველო და კერძოდ ამიერკავკასია წარმოადგენს ქერის წარმოშობის კერას. ქერს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში აქვს მრავალმხრივი გამოყენება. პირველ რიგში ის წარმოადგენს მაღალხარისხოვან კონცენტრირებულ საკვებს. ამ მხრივ ის უკეთესია, ვიდრე სიმინდი.

მთიანი რაიონებისათვის ქერი წარმოადგენს სასურსათო პროდუქტს, მას ხმარობენ როგორც პურს. არის კოსმოპოლიტური მცენარე. საქართველოში ის ითესება თითქმის ყველა კლიმატურ ზონაში.

გამოყენება

მისი მრავალმხრივი გამოყენების მნიშვნელობა განპირობებულია მარცვლის ფერმენტული და ქიმიური შემცველობით. განსაკუთრებით დიასტაზით. 100 კგ ქერის მარცვალი შეიცავს 122,2 ენერგეტიკულ საკვებ ერთეულს. მის მარცვლიდან ღებულობენ ფქვილს, ბურღულს.

ნამჯა საქონლის საკვებად მეტად მნიშვნელოვანია. ის არის შეუცვლელი საკვები მეცხოველეობაში. ხელს უწყობს ხორცის ხარისხის ამაღლებას და კვერცხმდებლობას.

ქერი გამოიყენება მედიცინაშიც. დადებითად მოქმედებს ნერვიულ სისტემაზე, კარგია ხველების საწინააღმდეგოდ და თირკმელების დაავადებისადმი.

რაც მთავარია ქერი უძველესი დროიდან გამოიყენება ლუდის წარმოებაში. მისგან ამზადებენ აგრეთვე ყავის კომპონენტებს. სალუდედ ყველაზე კარგია ქერის ისეთი ჯიშები, რომლებიც მარცვალში შეიცავს დიდი რაოდენობით სახამებელს და მცირე რაოდენობით ცილას.

სალუდე ქერის ჯიშებში ცილა 9-დან 12%-მდეა, სახამებელი 60-70%, ექსტრაქტი 75%, ქერის მარცვალი არის მინისებური და ფქვილისებური. მინისებურება მიგვითითებს ცილების მაღალ შემცველობაზე. ფქვილისებური მარცვალი ადვილად ექვემდებარება დალაოების პროცესს და გვაძლევს დამაკმაყოფილებელი ხარისხის ალაოს.

ქერის ხარისხზე მოქმედებს ცილების, სახამებლის და ექსტრაქტულობის რაოდენობა. ექსტრაქტულობის რაოდენობა იზრდება სახამებლის მატებით, ცილების შემცირებითა და აბსოლიტური წონის ზრდით. ექსტრაქტულობის განსაზღვრა აუცილებელი მაჩვენებელია სალუდე ქერის შეფასებისათვის, სალუდე თვისებებით ხასიათდებიან ძველი თესლი, ყაზბეგი, პალიდუმ 596, დვორანი, თეთნულდი და ალავერდი.

საფურაჟე ქერის ჯიშებია: ზეს-5, მირაჟი, ახალთესლი, ბაზალეთი, ჯვარი და მცხეთა, რომლებიც ხასიათდებიან ცილის მაღალი შემცველობით. ქერის მოსავლიანობის და მისი ხარისხის გადიდების ძირითადი ფაქტორია ჯიში და თესლი. ამ ორი ფაქტორის მიღწევებით ამერიკისა და ევროპის მოწინავე ქვეყნებმა ქერის მოსავლიანობა 58%–ით გაადიდეს.

საქართველოში გასული საუკუნის 80-იან წლებში ქერი ითესებოდა 50–ათას ჰექტარზე და საშუალო საჰექტარო მოსავალი შეადგენდა 24 ცენტნერს. ამჟამად ქერი ითესება 20-ათას ჰექტარზე და საშუალო მოსავალი შეადგენს 1,1 ცენტნერს ჰექტარზე. ამის მიზეზი გახლავთ არარეკომენდირებული ჯიშების უხარისხო თესლით თესვა და მოვლა-მოყვანის არარეკომენდირებული ტექნოლოგია.

ქერის სელექციის შედეგები საქართველოში

საქართველოში ქერის სელექცია დაწყებული იქნა გასული საუკუნის 30-იან წლებში ბოტანიკის ინსტიტუტის სელექციის განყოფილებაში, ხოლო 1933 წელიდან ყოფილი მცხეთის სახელმწიფო სასელექციო სადგურში.

სელექციის პირველ ეტაპზე ჩატარდა ქვეყანაში არსებული ქერის ადგილობრივი ხალხური სელექციით მიღებული ჯიშების შეგროვება, შესწავლა და უკეთესების დანერგვა წარმოებაში. უხსოვარი დროიდან საქართველოში ცნობილია ქერის ბიოლოგიური ჯგუფი: საშემოდგომო და საგაზაფხულო. ექვსმწკრივიანი, ოთხმწკრივიანი და ორ მწკრივიანი პირველი და მესამე უმთავრესად საგაზაფხულო ფორმებია. რაც შეეხება ოთხმწკრივიან ქერს, მასში არის როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო ფორმები.

სელექციის პირველ ეტაპზე გამორჩევის გზით მიღებული და დანერგილი იქნა წარმოებაში საშემოდგომო ქერის ორი ჯიში: პალიდუმ 30–1 და ტრები; საგაზაფხულო ქერის სამი ჯიში. ნუტანს 32.28, კოლხიკუმ 10-20 და ჯავახეთის ახალთესლი.

სელექციის მეორე ეტაპზე ჯიშთაშორისი ჰიბრიდიზაციის და ამ პროცესში მსოფლიოს მასალის გამოყენებით გამოყვანილი და დანერგილი იქნა საშემოდგომო ქერის სამი ჯიში: ყაზბეგი, ძველთესლი და ზეს 5. საგაზაფხულო ქერის სამი ჯიში: ახალთესლი დვორანი ალავერდი და ორთესლა ფაკულტატიური ბუნების სამი ჯიში – თეთნულდი, ჯვარი და მცხეთა. დასახელებული ჯიშები შესწავლილია ჰორიზონტალური და ვერტიკალური ზონების მიხედვით საქართველოს ჯიშთა დაცვისა და გამოცდის სახელმწიფო ინსპექციის მიერ და რეკომენდირებულია ისინი დასანერგად.

საგაზაფხულო ქერის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია

საგაზაფხულო ქერი თავის სავეგეტაციო პერიოდს გაზაფხულიდან იმავე წლის ზაფხილში ასრულებს. როგორიცაა ადრეულობა, გვალვაგამძლეობა და ყინვაგამძლეობა ქერის მოყვანის საშუალებას იძლევა. ყველგან, სამხრეთის რაიონებიდან დაწყებული, პორალური წრის ჩათვლით. საგაზაფხულო ქერის სავეგეტაციო პერიოდი 105-110 დღეა. ქერის მარცვალი ღივდება 1-2 გრადუს ცელსიუსზე. ადრეული და თანაბარი აღმონაცენი მიიღება 6-10 გრადუსი ცელსიუსის დროს. ადრეულ პურეულთა შორის საგაზაფხულო ქერი ყველაზე გვალვაგამძელე კულტურაა. ის წარმატებით მოიყვანება ინტენსიური ტექნოლოგიით.

ადგილი თესლბრუნვაში. საგაზაფხულო ქერისათვის კარგი წინამორბედია სამარცვლე პარკოსანი კულტურები. არა რის მიზანშეწონილი ქერის ქერისვე ნანვერალზე თესვა, რადგან ფესვის სიდამპლის გამო მნიშვნელოვნად მცირდეა მოსავალი.

განოყიერება. ყველაზე მეტ საკვებს საგაზაფხულო ქერი მოითხოვს აღმოცენება-ბარტყობის პერიოდში. აზოტის, ფოსფორის და კალიუმის ყველაზე რაციონალურ დოზებად ითვლება ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები, აუმჯობესებენ ქერის სალუდე ღირსებას.

ნიადაგის დამუშავება. ნიადაგის დამუშავება წარმოებს წინამორბედის ხასიათისა და მდგომარეობის მიხედვით. წინამორბედი კულტურისაგან განთავისუფლებული მინდორი უნდა აიჩეჩოს და მოიხნას მზრალად. ადრე გაზაფხილზე დაფარცხვა აუცილებელი აგროტექნიკური ღონისძიებაა. თესვის წინა კულტივაციასა და თესვას შორის დიდი პერიოდის დაშვება არ არის რეკომენდირებული, რადგან სარეველები ასწრებენ ქერს და ჩაგრავენ მას.

თესლის მომზადება დასათესად და თესვა. თესლი თესვის წინ უნდა შეიწამლოს სოკოვანი დაავადებების საწინააღმდეგო პრეპარატებით, როგორიცაა ვიტავაქსი 75%-იანი 3-3,51 კგ. 1 ტონა თესლზე. გრანოზანით 1,2-2,3%-იანი ხსნარი 1,5-2 ლიტრი 1 ტონა თესლზე. ბაიტონიტ 15%-იანი ხსნარით – 2 ლიტრი 1 ტონა თესლზე.

მაღალი მოსავლიანობისთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თესვის ვადებს, რომლის დაგვიანება იწვევს ნათესის ბუზებით დაზიანებას. თესვის ვადები სხვადასხვაა, რომელიც დამოკიდებულია კონკრეტულ პირობებზე, ის ითესება თებერვალში, მარტშიც და აპრილშიც რეგიონების მიხედვით.

მაგალითად სამგორის, მარნეულის, ყვარელის, ლაგოდეხის, ბოლნისის, გურჯაანის, თელავის რაიონებში უნდა დაითესოს 25 მარტამდე. ქარელის, გორის, კასპის, ხაშურის რაიონებში 15 აპრილამდე. ახალქალაქში, წალკაში ბოგდანოვკაში და ყაზბეგში 10 მაისამდე. ითესება მწკრივად და ჯვარედინად. თესვის ნორმა შეადგენს 5-6 მილიონ მარცვალს ჰექტარზე, წონით 200-250 კგ/ჰა-ზე.

საგაზაფხულო ქერი სუსტად ბარტყობს რისთვისაც საჭიროა თესვის ნორმის გადიდება. ნალექით უზრუნველყოფილ ნიადაგებში თესლი ითესება 4-5 სმ. სიღრმეზე. მშრალ პირობებში 6-8 სმ. სიღრმეზე. თესვის დროს კარგ შედეგს იძლევა თესვასთან ერთად ნათესვის დატკეპნა.

ნათესის მოვლა. ნათესში სარეველების წინააღმდეგ შეაქვთ ჰერბიციდები იმისდა მიხედვით რა სახის სარეველაა. ჩვეულებრივ ნათესებს ამუშავებენ სრულ ბარტყობა-აღერების ფაზაში. ამ დროს ქერი ყველაზე გამძლეა ჰერბიციდებისადმი, ხოლო სარეველები ჯერ პატარები არიან. ადრეული შესხურება ძლიერ თრგინავს მცენარეებს, ამცირებს პროდუქტიულობას.

ნიადაგის ქერქის დასაშლელად და ერთწლიანი სარეველების მოსასპობად ბარტყობის დასაწყისში კარგი იქნება თუ ჩატარდება დაფარცხვა მცენარეების დაუზიანებლათ. შვრიუკას საწინააღმდეგოთ ნათესი აღმოცენებამდე უნდა დამუშავდეს პრეპარატ თრიალიტით – 4 %-იანი ემულსიის კონცენტრატით 2-4 ლ/ჰა-ზე.

ერთწლიანი ორლებნიანი და მარცვლოვანი სარეველების წინააღმდეგ თესვის წინ უნდა შევიტანოთ ნიადაგში მალორანის 50 %-იანი სველებადი ფხვნილი 0,5-1 კგ/ჰა-ზე. 2 წლიანი ორლებნიანი სარეველების წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთ 2-4 დ ამინის მარილი 40 %-იანი 0,7-1,2 ლ/ჰა-ზე.

მოსავლის აღება. მოსავლის აღება უნდა ჩატარდეს რაც შეიძლება შემჭიდროებულ ვადებში სრული სიმწიფის პერიოდში კომბაინით. ქერი ცვილისებური სიმწიფის პერიოდის შემდეგ ხუთ დღეში შედის სრულ სიმწიფეში და მარცვლისა და მცენარის შორის კავშირი წყდება. ამ დროს ის გადადის ინტენსიურ სუნთქვაზე, რომლის დროსაც იხარჯება დიდი რაოდენობით ნახშირწყლები, რაც მოქმედებს მოსავლის ხარისხზე. ამიტომ დანაკარგების ასაცილებლად მოსავლის აღება უნდა დავამთავროთ მალე.

საშემოდგომო ქერის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია

საშემოდგომო ქერი – მოყავთ როგორც საფურაჟეთ ასევე საბურღულეთ. მოსავლიანობით საშემოდგომო ქერი მისი მოყვანის რეგიონებში მნიშვნელოვნად აღემატება საგაზაფხულო ქერს. ეს იმით აიხსენება, რომ საშემოდგომო ქერი შემოდგომაზე მოსულ ნალექებთან ერთად ამომწურავად ითვისებს ზამთარ – გაზაფხულის ნალექებსაც. ბარტყობაც უფრო ძლიერია ვიდრე საგაზაფხულოსი, საშემოდგომო ქერი ძირითადათ ითესება ქართლისა და კახეთის რაიონებში.

საშემოდგომო ქერი უფრო ნაკლებ ზამთარგამძლეა ვიდრე საშემოდგომო ხორბალი და საშემოდგომო ჭვავი. მისთვის საშიშია 12 გრადუსზე დიდი ყინვები. საშემოდგომო ქერის იარაოზაციის მაქსიმალური ხანგრძლივობა 35-45 დღეა. მისი სავეგეტაციო პერიოდი 15-18 დღით უფრო მოკლეა ვიდრე საგაზაფხულოსი და 8-10 დღით უფრო ადრე შემოდის ვიდრე საშემოდგომო ხორბალი.

საშემოდგომო ქერი შეიძლება დაითესოს სხვადასხვა წინამორბედის შემდეგ. მისთვის თესლბრუნვაში ყველაზე კარგი ადგილია სუფთა დაკავებული ანეულები. საწარმოო პირობებში იგი უფრო ხშირად ითესება სიმინდის, მზესუმზირისა და სამარცვლე პარკოსნების შემდეგ. საშემოდგომო ქერი უფრო ადრე ათავისუფლებს ფართობს და მის შემდეგ შეიძლება მეორე მოსავლის მიღება ისეთი კულტურების როგორიცაა: სიმინდი, სუდანურა, წიწიბურა, ლობიო და სხვა. მოსავლიანობით საშემოდგომო ქერი სჯობია საგაზაფხულოს.

განოყიერება. საშემოდგომო ქერი მოთხოვნას უყენებს სამ ძირითად საკვებ ელემენტს. კარგ შედეგს იძლევა თესვის წინ სუპერფოსფატის შეტანა. რაც ხელს უწყობს მცენარეთა უკეთ გამოწრთობასა და გადაზამთრებას, ააქტიურებს ფესვთა სისტემის ზრდას და აჩქარებს მომწიფებას.

აზოტის მეტი რაოდენობა ესაჭიროება ვეგეტატიური მასის ზრდისა და მარცვლის შევსების ფაზებში. მისი ნაკლებობა იწვევს მოსავლის შემცირებას და მარცვლის ხარისხის შესამჩნევ გაუარესებას, ნაკლები ცილის დაგროვებას. კალიუმი აუმჯობესებს ზამთარგამძლეობას და დაავადებებისადმი გამძლეობას, ამაგრებს ღეროს. ყველაზე მეტად იგი მოიხმარება აღერებისა და დათავთავების ფაზაში. აზოტი შეაქვთ თესვის წინ და გამოკვების სახით გაზაფხულზე 150 კგ/ჰა-ზე. თესვის წინ უნდა შევიტანოთ ნიადაგში სუპერფოსფატი 200 250 კგ/ჰა-ზე და კალიუმი 70-100 კგ/ჰა-ზე. ამით შეიძლება საჰექტარო მოსავლიანობა გავადიდოთ 4 ცენტნერით.

ნიადაგის განოყიერებისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს მწვანე სასუქის – სიდერატის გამოყენება. სიდერატათ იყენებენ სამარცვლე პარკოსნებს – ბარდას, ცუღლიპირას, ცერცველას. სიდერატები ქერისათვის უფრო მეტ ეფექტს მოგვცემს იმ შემთხვევაში თუ მას გამოვიყენებთ წინამორბედ კულტურის ქვეშ. მოსავალი გაიზრდება 30 %-ით. სიდერატის მინერალიზაცია ძირითადათ მიმდინარეობს მომდევნო წლის ივნის – ივლისში, როდესაც ქერი დამწიფებულია.

ნიადაგის დამუშავება. ნიადაგის დამუშავება საშემოდგომო ქერისათვის იწყება ნაწვერალის აჩეჩვით, რომელსაც უნდა მოჰყვეს ხვნა სრულ სიღრმეზე (25-27სმ.) ზედ მიყოლებული დაფარცხვით გარდი-გარდმო მიმართულებით. თესვის წინ ტარდება კულტივაცია ჩათესვის სიღრმეზე.

თესვის ვადა. ადრეულად დათესილი საშემოდგომო ქერი ადვილად ზიანდება შვედური ბუზით და ზამთრის ყინვისაგან რადგან იგი მაღალ ტემპერატურაზე გაღივებულ – აღმოცენებული, ნაკლებ ნაწრთობი შედის ზამთარში, აგრეთვე თუ თესვის შემდეგ მოსულ ნალექებს მოჰყვა თბილი პერიოდი,იწყება გაძლიერებული ბარტყობა.

თოვლის ქეშ მოხვედრილი მწვანე ადვილათ ამოიხუთება. თუ თესვის ვადა დაგვიანებულია, ამ შემთხვევაში გვიანდება თესლის გაღივება, აღმოცენება რასაც თან მოჰყება მავნებლებისაგან განადგურება, გვიან დათესილი ვერ ასწრებს დაბარტყებას, სუსტდება და ზამთრის განმავლობაში ადვილად ზიანდება – ნათესი მეჩხერდება და მცირდება მოსავალი, ამიტომ უნდა დავიცვათ თესვის ვადები.

ქართლსა და კახეთში თესვის საუკეთესო ვადაა 5 – 30 ოქტომბერი. მესხეთ-ჯავახეთში 20 აგვისტო. შუა ქართლში 15 სექტემბერი. იმერეთში ნოემბერი. თესლი უნდა იყოს რეკომენდირებული ჯიშის და პასუხობდეს გათვალისწინებულ კონდიციას. ის უნდა შეიწამლოს გუდაფშუტის დაავადების საწინააღმდეგოდ და ფესვის სიდამპლესთან საბრძოლველათ პრეპარატი-გრანოზანი 1,8-2,3% ფხვნილით.

თესვის წესი. საშემოდგომო ქერის თესვა ტარდება მწკრივებად. კარგ შედეგს იძლევა ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად თესვა. სათესლეთ გამოყენებული უნდა იყოს მსხვილი მარცვალი. ამ შემთხვევაში მოსავალიც მეტია რადგან შესაძლებელია მისი ღრმა თესვაც და ბარტყობის ნასკვიც ღრმად ვითარდება, რის გამოც ზამთარგამძლეობაც მეტი აქვს. სათესლე მასალას ჯიშური სიწმინდე უნდა ჰქონდეს 99 %. კარგი აღმოცენების უნარი 95 % მაღალი სასოფლო სამეურნეო ვარგისიანობა. ასეთი თესლი მაღალ მოსავალს გვაძლევს.

თესლის ჩათესვის სიღრმე. ნიადაგის კონკრეტულ მდგომარეობაზე დამოკიდებულებით მერყეობს 4-6 სმ. ფარგლებში. ჩათესვის სიღრმეს განსაზღვრავს მთელი რიგი პირობები. წვრილი თესლი უფრო ნაკლებ სიღრმეზე უნდა დაითესოს. ტენით უზრუნველყოფილ ნიადაგებშიც ნაკლებ სიღრმეზე, ხოლო მშრალ ნიაგადებში პირიქით, რომ გამოიყენოს ღრმა ნიადაგის ტენი, მკაცრი ზამთრით დახასიათებულ ადგილებში თესლი ღრმად უნდა დაითესოს, რომ მოსალოდნელი ყინვისაგან არ დაზიანდეს.

თესვის ნორმა. დამოკიდებულია ნიადაგის ხარისხზე, კლიმატურ პირობებზე, რაც უფრო ხელსაყრელი კლიმატური პირობებია მით უფრო ნაკლები თესლია საჭირო და პირიქით. ხელსაყრელ პირობებში მცენარე აძლიერებს ვეგეტატიური ნაწილების ზრდას. თესლის დიდი რაოდენობით დათესვა არც ეკონომიურად იქნება გამართლებული და არც ტექნიკურად.

დიდი სათესი ნორმის გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს წვრილღეროიანობა, ამის გამო ჩაწოლა, სოკოვანი დაავადებების მძლავრი განვითარება. არახელსაყრელ პირობებში სათესლე ნორმა უნდა გავზარდოთ. სათესლე ნორმა მერყეობს 4,5-5,0 მილიონი მარცვლის ფარგლებში. წონით რაოდენობით 220-240 კგ/ჰა-ზე. სათესლე ნორმა მერყეობს ვერტიკალური ზონალობისა და თესვის ვადაზე დამოკიდებულებით.

ნათესის მოვლა და მოსავლის აღება. წლის ოთხივე დროში მიმდინარეობს საშემოდგომო ქერის ზრდა – განვითარება. ასეთ ხანგრძლივ პერიოდში საჭიროა მოვლა. სარწყავ რაიონებში ნაკვეთი უნდა დაიკვალოს. თუ ნაკვეთი დასარევლიანებულია, საჭიროა ჩატარდეს ქიმიური მეთოდით ბრძოლა, ჰერბიციდების გამოყენება, ეფექტური ღონისძიებაა დამატებითი გამოკვების ჩატარება ნპკ სასუქით. შემოდგომაზე, თუ ჯეჯილი ზედმიწევნით გაიზარდა აზოტოვანი სასუქი აღარაა საჭირო, მაღალმოსავლიანი ჩაწოლისადმი მიდრეკილების მქონე ჯიშებზე ჩაწოლის წინააღმდეგ წარმატებით გამოიყენება ქლორინქლორიდი (ტური). ამ პრეპარატით ქერი მუშავდება ბარტყობისა და აღერების ფაზაში.

მოსავლის აღების პერიოდი ემთხვევა ჰაერის მაღალ ტემპერატურას. მოსავალი, რომ არ დაიკარგოს აღება უნდა მოხდეს პირდაპირ კომბაინით, სრული სიმწიფის დასაწყისში. მარცვლის ტენიანობა უნდა იყოს 16-18 %.

ჯიშები

საგაზაფხულო ქერის ჯიშები

ნუტანსი 032-28. გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურის მიერ ინდივიდუალური გამორჩევის მეთოდით. თავთავი ორმწკრივიანი, ღია ყვითელი ფერის. ეკუთვნის სახესხვაობა ნუტანსს. ხასიათდება მაღალი და მტკიცე ღეროთი. 1000 მარცვლის მასა 39-40 გრამია. საშუალო მოსავალი ჰექტარზე 24 ცენტნერს შეადგენს. დარაიონებულია საქართველოს როგორც სარწყავ ასევე ურწყავი ზონებისათვის.

კოლხიკუმი 10-30. გამოყვაილია მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურის მიერ ინდივიდუალური გამორჩევის მეთოდით რაჭის ქერებიდან. თავთავი ორ მწკრივიანია, ღია ყვითელი ფერის, ფხიანი, ფხა თავთავზე გრძელია, მარცვალი ყვითელი ელიფსისებური ფორმის, საშუალო ზომის. 1000 მარცვლის მასა 25-33 გრამი. არის საგაზაფხული, კარგად ბარტყობს, ღერო საშუალო სიმაღლის, გამძლეა დაავადებებისადმი. რეკომენდირებულია საქართველოს ურწყავი რაიონებისათვის.

ჯავახეთის ახალთესული. არის ადგილობრივი ჯიში, გაუმჯობესებული მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურის მიერ. ეკუთვნის სახესხვაობა ნუტანსს. თავთავი ორ მწკრივიანია ჩალისებრ ყვითელი. მთიანი ზონის ფორმაა, ადრეული, გაზაფხულის წაყინვებისადმი გამძლეა, დაბალტანიანი და არ წვება. მთიან ზონაში მისი საჰექტარო მოსავალი შედაგენს 21 ცენტნერს. 1000 მარცვლის მასა მაღალია და შეადგენს 45 გრამს. დარაიონებულია საქართველოს მთიანი რაიონებისათვის.

საშემოდგომო ჯიშები

ყაზბეგი – 1. გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტში მუტაგენეზის მეთოდით, ადგილობრივი ჯიშიდან. მცენარის სიმაღლე 80-98 სმ. ხასიათდება მოკლე და მტკიცე ღეროთი. ჩაწოლის მიმართ გამძლეა, თავთავი ფხიანი, კომპაქტური, არის ადრეული სავეგეტაციო პერიოდი 217 დღე. ზამთარგამძლე და გვალვაგამძლეა. მარცვლის ჩაცვენა არ ახასიათებს. ათასი მარცვლის მასა 36,4 გრამი. არის მაღალ მოსავლიანი. დედოფლისწყაროს ჯიშთა გამოცდის პუნქტებზე მან მოგვცა 58,7 ცენტნერი ჰექტარზე. რეკომენდირებულია ქართლის სარწყავი ზონებისთვის.

ძველთესული. გამოყვანილია მიწათმოქმედების ინტტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურის მიერ მასობრივი გამორჩევით. ეკუთვნის სახესხვაობა პალიდუმს. არის ექვს მწკრივიანი, თავთავი მოჩალისფრო ყვითელი, მარცვალი

გაგრძელება მე-5 გვ. -ზე

ჟოლოს დასარგავად ნაკვეთის შერჩევის ფაქტორები

ჟოლოს დასარგავად ნაკვეთის შერჩევისას საჭიროა რამდენიმე ძირითადი ფაქტორის გათვალისწინება:

ნიადაგის ტიპი და მისი ნაყოფიერება;
დრენაჟის სისტემა, ქარისგან დაცულობა;
მზით განათება;
წყლის ხელმისაწვდომობა;
წინამდებარე კულტურების სახეობა.

ჟოლოს დასარგავად შერჩეულ ადგილს მთლიანად უნდა ხვდებოდეს მზის სინათლე. უნდა შეირჩეს დრენაჟის კარგი უნარის მქონე, ბუნებრივად ნაყოფიერი, ორგანული ნივთიერებების მაღალი შემცველობის (2-4%) ნიადაგი, რომლის pH-ის მაჩვენებელი 6.0-იდან და 7.0-მდეა.

ჟოლოსთვის უფრო ხელსაყრელია ქვიშნარი ან მსუბუქი თიხნარი სტრუქტურის მქონე ნიადაგი, თუმცა კარგად ხარობს, ასევე, დრენაჟის კარგი უნარის მქონე თიხიან ნიადაგებზეც.

ნაკვეთის შერჩევისას ძალიან მნიშვნელოვანია წყლის დრენაჟის საკითხი, ვინაიდან ჟოლოს ფესვთა სისტემა ნიადაგში 1 მეტრის სიღრმეზე ვრცელდება.

ჟოლოს არაერთი ჯიში მგრძნობიარეა ფიტოფტორით გამოწვეული ფესვის სიდამპლისა და ნიადაგის სხვა სოკოვანი დაავადებების მიმართ (მაგალითად, Fusarium, Verticillium), რომლებიც მრავლადაა არასათანადო დრენაჟის მქონე ნიადაგებში.

გრუნტის წყლების დონე არ უნდა აღწევდეს ნიადაგის ზედაპირიდან 1 მეტრის სიღრმეზე. ასევე, უნდა მოერიდოთ წყალშეუღწევი ქვენიადაგის მქონე ადგილებს.

ჟოლოს გასაშენებლად დაგეგმილ ნაკვეთზე წყლის დრენაჟის სისტემის შემოწმება შესაძლებელია მარტივი მეთოდით. ნაკვეთზე საცდელი მიზნით ამოიღეთ რამდენიმე, დაახლოებით, 75 სმ სიღრმის და 15 სმ სიგანის ორმო გაზაფხულის დასაწყისში ან შემოდგომის ბოლოს, როდესაც ნიადაგი გაჯერებულია წყლით, მაგრამ არ არის გაყინული.

ორმოში ჩაასხით 20 ლიტრი წყალი და ერთი საათის შემდეგ შეამოწმეთ. თუ წყალი ორმოს ძირში დაგუბდა, ადგილის დრენაჟის უნარიანობა არასაკმარისია და ჟოლოს გასაშენებლად ნაკლებად გამოდგება.

ჟოლო უნდა გაშენდეს სწორ ან ოდნავ დაქანებულ (<8 %) მიწის ფართობებზე. ნიადაგის ეროზიის თავიდან ასაცილებლად რიგები უნდა მოეწყოს დაქანების საწინააღმდეგო მიმართულებით.

ძალიან მნიშვნელოვანია ნარგავების ირგვლივ ჰაერის სათანადო მოძრაობა. ჰაერის მოძრაობა ხელს უწყობს ფოთლების ზედაპირის გაშრობას და ამცირებს დაავადების ხელშემწყობი პირობების წარმოქმნას. ჰაერის ცირკულაცია, ასევე ამცირებს მცენარეების გაყინვის საფრთხეს.

როდესაც მცენარეები დარგულია შედარებით მაღალ, დაქანებულ ნაკვეთზე, ცივი ჰაერი ფერდობიდან მიემართება ყველაზე დაბალი წერტილისკენ. თუ არ დაგუბდა ცივი ჰაერი ქვედა ადგილებში, ნაკლებ სავარაუდოა გვიანი გაზაფხულის ყინვებით ნარგავების დაზიანება. მეორე მხრივ, ჟოლო დაცული უნდა იყოს ძლიერი ქარისგან, რომელიც ამცირებს მცენარეთა სიძლიერეს და აფერხებს ღეროს ზრდას.

ასევე, საჭიროა ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინება დასარგავი ადგილის განსაზღვრისას. როგორც წესი, ჟოლო უკეთესად იზრდება ჩრდილოეთ ფერდობებზე.

ახალი პლანტაცია მაქსიმალურად უნდა იყოს დაშორებული გარეული ჟოლოსგან. ნარგავიდან 300 მეტრის მანძილზე გარეული ჟოლო უნდა მოაცილოთ, რათა არ მოხდეს ახალ ნარგავებში ბუგრით ან ციკადებით გადამტანი ვირუსული დაავადებების გავრცელება.

მოამრავლეთ შობის ვარსკვლავი — გაზარდეთ თქვენი შემოსავლი

ფერმერებისთვის ძალიან საინტერესო უნდა იყოს, ჩვენი აზრით ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ყოველწლიური შემოსავლის გასაზრდელად ზოგიერთი საინტერესო მცენარის გამრავლება-გაყიდვა.

ერთ-ერთი მათგანია შობის ვარსკვლავი—პუანსეტია ლათინური სახელწოდება: უპჰორბია პულცჰერრიმა. სამშობლო: მექსიკა. პუანსეტია უნიკალური და ძალიან ლამაზი საშობაო მცენარეა. მას სხვაგვარად ბეთლემის ან საშობაო ვარსკვლავს, რძიანას და ეურფობიასაც უწოდებენ.

ბუნებრივ პირობებში ესაა მარადმწვანე მცენარე მეტრამდე სიმაღლის. ოთახის მცენარე იზრდება 50 სმ-მდე. ის შეიცავს წებოვან თეთრ სითხეს, ამის გამო მასთან ურთიერთობისას უნდა გამოვიჩინოთ სიფრთხილე, ამ თეთრი სითხის კანზე ან თვალში მოხვედრისას შესაძლებელია გამოიწვიოს გაღიზიანება.

დღეისთვის არსებობს ამ მცენარის 100-ზე მეტი სახეობა.

შობის ვარსკვლავს უყვარს კარგად განათებული ადგილები, მაგრამ მცენარე დაცული უნდა იყოს მზის პირდაპირი სხივებისგან. ოპტიმალური ტემპერატურაა 15-21ºC-ია. თუ ტემპერატურა ეცემა 100-მდე მცენარეს სცვივა ყვავილები და წყვეტს ყვავილობას.

მცენარე ასევე უნდა დავიცვათ ქარისგან, ვერ იტანს სიმშრალეს, თუმცა არ უნდა გადავაჭარბოთ მორწყვის ნორმას, წინააღმდეგ შემთხვევაში ფესვები ლპობას დაიწყებს.

შობის ვარსკვლავის მოვლისას მთავარია შევინარჩუნოთ ჰაერის ტენიანობა. აუცილებელია ფოთლებზე წყლის რეგულარული მისხურება, ამასთან მნიშვნელოვანია, რომ წყალი არ მოხვდეს თანაყვავილედს.

არ არის რეკომენდირებული მიწის სასუქით გამდიდრება მცენარის ყვავილობის პერიოდში.

შობის ვარსკვლავი მრავლდება კალმით. ზაფხულის დასაწყისში ხდება მცენარის გასხვლა, არჩევენ 10 სმ-ზე გრძელ კალმებს, რომლებსაც აქვთ 3-4 ჯანმრთელი ფოთოლი. მათ რგავენ ნესტიან, კარგად დრენირებულ, სუფთა ნიადაგში. რამდენიმე კვირის განმავლობაში შენარჩუნებული უნდა იქნას ნიადაგის თანაბარი ტენიანობა და სულ მცირე 2-ჯერ დღეში წყალი უნდა მივასხუროთ ფოთლებს.

შობის ყვავილის ყველა მავნებლის წინააღმდეგ საბრძოლველად შეგვიძლია გამოვიყენოთ ინსექტიციდური საპონი. მცენარის ფოთლები უნდა დავამუშავოთ ამ საპნით.

ყვავილობის შემდეგ მცენარე 2 თვე „ისვენებს“. ამ დროს რეკომენდირებულია შევწყვიტოთ მორწყვა (დავიყვანოთ მინიმუმამდე), გადავიტანოთ მცენარე მშრალ ადგილას, ტემპერატურა 130-მდე. „დასვენების“ შემდეგ მცენარეს სხლავენ, ტოვებენ 14 სმ სიმაღლის 5-6 რტოს.

ამის შემდეგ მცენარე შეგვიძლია გადავიტანოთ 200-მდე გამთბარ ოთახში. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს მორწყვა.

მას შემდეგ რაც მცენარე დაიწყებს გაზრდას ის უნდა გადავიტანოთ უფრო დიდ ქოთანში. გადარგვიდან 2 კვირის შემდეგ აუცილებელია მცენარე გავანოყიეროთ ორგანული სასუქით.

თუ გვინდა რომ შობის ვარსკვლავი აყვავდეს ახალი წლისთვის, ის უნდა დავტოვოთ სინათლეზე მაქსიმუმ 8-9 საათი. ეს პროცედურა სასურველია დავიწყოთ ოქტომბრის შუა რიცხვებიდან.

ის არ ითხოვს განსაკუთრებულ პირობებს, თუმცა, საკმაოდ ნელა იზრდება. ამ მცენარისთვის მთავარია განათება, ზომიერი მორწყვა და მოფერება, რომ ყოველ შობას თქვენთან ერთად გახარებული და გალამაზებული შეხვდეს.

ქერი – თესვა, მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია და ჯიშები

დასაწყისი მე-4 გვ.-ზე

დაკბილული, ოვალური ფორმის, 1000 მარცვლის მასა 40-50 გრამი. არის ზამთარგამძლე, არ წვება, ახასიათებს ძლიერი პროდუქტიული ბარტყობა.

პალიდუმ 30-1. გამოყვანილია აზერბაიჯანის სასელექციო სადგურის მიერ. თავთავი ექვს მწკრივიანია, ფხიანი, ჩალისფერი ყვითელი, საკმაოდ მკვრივი, ეკუთვნის სახესხვაობა პალიდუმს. მარცვალი დიდი ზომისაა, 1000 მარცვლის მასა 36-40 გრამია. ღერო საშუალო სიმაღლის, დაავადებებისა და მავნებლის მიმართ შედარებით გამძლეა. რეკომენდირებულია საქართველოს სარწყავი და შემაღლებული ზონებისთვის.

ტრები. გამოყვანილია ამერიკის შეერთებულ შტატებში. თავთავი მრავალმწკრივიანია, ფხიანი, ჩალისებრ ყვითელი, ფხა გრძელი და უხეში, ძლიერ დაკბილული. ის ძნელად სცილდება თავთუნს, ეკუთვნის სახესხვაობა პალიდუმს. 1000 მარცვლის მასა 33-38 გრამია. ღერო საშუალო სიმაღლისაა. არის საშუალო საადრეო, გვალვაგამძლეა, არ წვება, დაავადებებისა და მავნებლების მიმართ არის იმუნური. რეკომენდირებულია საქართველოს სარწყავი რაიონებისათვის.

ზეს-5. გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტში გამა დასხივებით, ჯიში ყაზბეგიდან. არის მრავალმწკრივიანი, მიეკუთვნება სახესხვაობა ნუტანსს. მცენარის სიმაღლე 100-110 სმ. 1000 მარცვლის მასა 40-43 გრამია. თავთავი მოყვითალო ნარინჯისფერი, მკვრივი, მარცვალი ელიფსისებური ფორმის, საშეგეტაციო პერიოდი 201 დღე. არის დაავადებებისადმი, ჩაწოლისადმი გამძლე. ითესება მხოლოდ შემოდგომით. მისი საშუალო საჰექტრო მოსავალი 57 ცენტნერია.

ქერის ორთესელა ანუ ფაკულტატური ჯიშები

თეთნულდი. გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურში ჩილედან მიღებული კოლექციის მასალიდან გამორჩევის მეთოდით. არის ბიოლოგიურად ორთესელა, შეიძლება დაითესოს როგორც გაზაფხულზე, ასევე შემოდგომაზე. თავთავი ორ რიგიანია, ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით და მავნებლებისადმი გამძლეობით. თავთავი ორრიგიანია, არ წვება. შემოდგომით თესვის დროს მისი პოტენციალური მოსავალი 6-7 ტონაა ჰექტარზე, გაზაფხულზე თესვისას 4-5 ტონა ჰექტარზე. 1000 მარცვლის მასა შეადგენს 43-44 გრამს. მარცვალში ცილის შემცველობა 10,9-12,7%-ია. მცენარის საშუალო სიმაღლე 90-100 სანტიმეტრია. რეკომენდირებულია ქერის მთესველი ყველა რაიონებისათვის.

ჯვარი. გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურში საფრანგეთიდან მიღებული კოლექციის მრავალჯერადი ინდივიდუალური გამორჩევის მეთოდით. არის ორთესელა, შეიძლება მოვიყვანოთ შემოდგომით, ასევე გაზაფხულზე თესვის პირობებში. არის ორ რიგიანი, დაავადება-მავნებლების, ასევე ჩაწოლის მიმართ გამძლე, მაღალპროდუქტიული, მისი პოტენციალური მოსავალი ჰექტარზე საშუალოდ 4,5-7 ტონას შეადგენს. 1000 მარცვლის მასა 40-45 გრამია. დარაიონებულია საქართველოს ქერის მთესველი ყველა რაიონისათვის.

ალავერდი. გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტში მრავალჯერადი მასიური გამორჩევით კოლექციის ნიმუშებიდან. არის ბიოლოგიურად ორთესელა, შეიძლება დაითესოს როგორც გაზაფხულზე ასევე შემოდგომაზე. თავთავი ორ რიგიანია, ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით და დაავადება-მავნებლებისადმი გამძლეობით. არ წვება. შემოდგომით თესვის დროს მისი საშუალო მოსავალი 4,5 ტონაა ჰექტარზე. 1000 მარცვლის მასა შეადგენს 44 გრამს. ბარტყობა 2,4. მცენარის სიმაღლე 90-100 სმ. თავთავ სწორი, ჩალისფერი-მოყვითალო, სიგრძით 10 სმ. გამოიყენება ლუდის წარმოებაში. მარცვალში ცილის შემცველობა 10,5 %-ია. ექვემდებარება მექანიზირებულ აღებას. მისი გავრცელების არეალია ქერის მთესველი ყველა რაიონები.

მცხეთა. გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურში უკრაინიდან მიღებული კოლექციიდან მრავალჯერადი ინდივიდუალური გამორჩევის მეთოდით. არის ფაკულტატიური ბუნების, ითესება როგორც შემოდგომაზე ასევე გაზაფხულზე. თავთავი ორ რიგიანია, არის მაღალმოსავლიანი, მისი პოტენციალური მოსავალი შეადგენს შემოდგომით თესვისას 6-6,5 ტონას, გაზაფხულზე თესვისას 4-4,5 ტონა ჰექტარზე. მცენარის საშუალო სიმაღლე 95-100 სმ. მცენარე გამძლეა როგორც დაავადება-მავნებლების, ასევე ჩაწოლის მიმართ. ის დარაიონებულია საქართველოს ქერის მთესველი ყველა რაიონებისათვის.

ავტორები:

ოთარ ლიპარტელიანი – სსმმ აკადემიის წევრ კორესპოდენტი, დარგობრივი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მარცვლეული კულტურების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, პროფესორი.

ზეინაბ სალარიძე – სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფროსი სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

ნიორი — დარგვა, მოყვანა, მოვლა, ტექნოლოგიური რუკა

ნივრის სამშობლოდ ცენტრალური აზია, ავღანეთი და ინდოეთი ითვლება. გარეული ნიორი საქართველოშიც არის გავრცელებული „გველის ნიორას“ სახელწოდებით.

ნიორს მრავალმხრივი გამოყენება აქვს, იგი გამოიყენება კულინარიაში, კვების მრეწველობაში და მედიცინაში როგორც სამკურნალო საშუალება.

ნიორს გააჩნია ფიტონციდური და ანტისეპტიკური თვისებები, რაც გამოწვეულია მასში არსებული ეთერზეთებით; ამ ნივთიერების გარდა ნიორი შეიცავს დარიშხანოვან ნაერთებს, რომლებსაც აქვთ სამკურნალო თვისებები, ამიტომ მას უხსოვარი დროიდან იყენებენ სხვადასხვა დაავადებების წინააღმდეგ ხალხურ მედიცინაში.

კულტურის ბოტანიკური და ბიოლოგიური დახასიათება

ნიორი შროშანისებრთა ოჯახს მიეკუთვნება. ის მოყავთ ერთწლიანი კულტურის სახით კბილების ვეგეტატიურად გამრავლების შედეგად. მისი ფოთლები ვიწროა, გრძელი თასმისმაგვარი, ფერი კი მუქი მწვანე. არსებობს მოყვავილე ფორმებიც, რომლებიც ინვითარებენ საჰაერო ბოლქუნებს. თუ საჰაერო ბოლქუნებით ხდება გამრავლება, მაშინ ნიორი სამწლიანია.

სავეგეტაციო პერიოდი 160-200 დღე
კბილების გაღივება 4-6ºC
მცენარის ზრდა 18-20ºC
ბოლქვის განვითარება 18-27ºC
აღმონაცენი უძლებს მინუს 7-8ºC
თოვლის საფარის ქვეშ უფრო მაღალ ყინვებს უძლებს
ველარ ვითარდება 30ºC-ზევით
მოსავლიანობა: 12-15 ტონა /ჰა-ზე

ნიადაგის დამუშავება და განოყიერება

მოხვნის წინ ტოტალური მოქმედების ჰერბიციდის შეტანა, ნიადაგი ნიორისთვის უნდა იყოს კარგად განოყიერებული გადამწვარი ნაკელით, მოხვნამდე შეგვაქვს ორგანული და სასუქის სრული დოზა.

ნიადაგის ანალიზის არქონის შემთხვევაში მინერალური სასუქების რეკომენდირებული ნორმა:

80 კგ/ჰა-ზე მოქმედი ნივთიერება;
120 კგ/ჰა-ზე მოქმედი ნივთიერება;
90 კგ/ჰა-ზე მოქმედი ნივთიერება;
ორგანული სასუქი 50-60 ტ/ჰა-ზე;
მოხვნის სიღრმე 22-26 სმ;

დარგვს წინ კულტივაცია, ფრეზირება მოსწორება;

ბაზოების ფორმირება;
სიგანე – 1,0-1,2 მ;
სიმაღლე – 15-20 სმ.

სარგავი მასალის შერჩევა

ნივრის დასარგავად გამოიყენება ნივრის გარეთა მსხვილი კბილები, კბილების სიდიდეზეა დამოკიდებული მოსავლის რაოდენობაც და ხარისხიც. ანაგულის (შიგნითა კბილები) გამოყენება არ შეიძლება;

სარგავი მასალა შეიძინეთ სანდო ადგილზე;

სარგავი მასალა შეინახეთ დეზინფიცირებულ, გრილ (3-5°ჩ), მშრალ, მავნებლებისა და მზის სხივებისგან დაცულ სათავსოში;

დარგვა და დარგვის ნორმები

ნიორი ირგვება როგორც შემოდგომით, ასევე ადრე გაზაფხულზე. მცირე ფართობებზე დარგვა შეიძლება ხელით, დიდ ფართობებზე კი სპეციალური სარგავი მანქანით.

შემოდგომით — ოქტომბრის მეორე დეკადა, ნოემბრის პირველი დეკადა;

გაზაფხულზე — თებერვალი, მარტის დასაწყისი;

უკეთესია შემოდგომით დარგვა.

1 ჰა-ზე საჭიროა:
მსხვილ კბილა — 1200-1500 კგ.
წვრილ კბილა — 800-1200კგ.

კვების არე:
მწკრივში მცენარეებს შორის (წვრილ კბილა) 5-6 სმ.
მწკრივში მცენარეებს შორის (მსხვილ კბილა) 8-10 სმ.
მწკრივთაშორის მანძილი 20-25 სმ.
შემოდგომით დარგვის სიღრმე 4-5 სმ.
გაზაფხულზე დარგვის სიღრმე 2-3 სმ.
1 მეტრი სიგანის ბაზოზე 4-5 მწკრივი.

ნათესის მოვლა

ნივრის ნაკვეთი უნდა იყოს სარეველებისგან სუფთა, ამისთვის ნათესში ტარდება გამარგვლა, ნიადაგის გაფხვიერება, თოხნა 2-3-ჯერ ვეგეტაციის პერიოდში და 1-2–ჯერ მორწყვა.

ხახვის ბუზის, ნივრის ოთხფეხა ტკიპას წინააღმდეგ ინსექტიციდის შესხურება სასურველია 2-ჯერ ან 3-ჯერ. დაავადებების წინაამღდეგ ფუნგიციდის შესხურება კი დაწყებული მარტის თვიდან, საჭიროების მიხედვით.

ადგილი თესლბრუნვაში

თესლბრუნვაში ნივრის საუკეთესო წინამორბედი კულტურებია:

პარკოსნები, საადრეო კომბოსტო და კიტრი;

გასათვალისწინებელია, რომ ნიორის დარგვა დაუშვებელია ხახვნაირი მცენარეებისგან განთავისუფლებულ ნაკვეთზე არანაკლებ 3-4 წელი.

მოსავლის აღება

ნივრის მოსავლის აღება ხდება, როგორც კი ფოჩი გაყვითლდება და ჩაწვება. მოსავლის აღება ხდება ხელით ან/და ამომთხრელი მანქანით.

შენახვა

იწვნება გალებად და იკიდება;

ეჭრება ფოჩი და ინახება გრილ, დეზინფიცირებულ, მავნებლებისგან დაცულ სათავსში.

საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის მიუკერძოებლად და სამართლიანად გაშუქების მიზნით, გაზეთ „ყვარელში“, რომელიც გამოდის თვეში ორჯერ, ფასიანი რეკლამისთვის გამოყოფილია A-3 ფორმატის ორი გვერდი, ანუ 2444 კვადრატული სანტიმეტრი, ხოლო უფასო რეკლამისათვის 444 კვადრატული სანტიმეტრი.

ნებისმიერ საარჩევნო სუბიექტს შეუძლია გამოიყენოს გაზეთის ერთი გვერდის 2/3 ფართობი, რომლის ტარიფია 120 ლარი, ხოლო უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის 148 კვადრატული სანტიმეტრი.

წინასაარჩევნო რეკლამისათვის გაზეთის ფართობის შესყიდვა უნდა განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორების წესით.

გაზეთ „ყვარლის“ რედაქცია

ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტი (პირობიანი აუქციონი)

1. სააუქციონო პირობები:

მყიდველი ვალდებულია 1 წლის განმავლობაში ხიდის განახლებითვის, კუნძულის და არსებული თავისუფალი მიწის ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისთვის გაიღოს 1 350 000 ლარის ინვესტიცია, მუნიციპალიტეტის შემდგომში პოპულარიზაცის მიზნით..

ლოტის №	ქონების დასახელება და მისამართი	სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობის ფართობი (კვტ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)
1.	ქ. ყვარელი, ილიას ტბის ტერიტორია	6583	-	57.06.51.243	150000	30000	7500	50

2. სააუქციონო პირობები:

მყიდველი ვალდებულია 2 წლის განმავლობაში განახორციელოს ტურისტული ინფრასტრუქტურა, მოაწყოს საპიკნიკე ადგილი, კაფე, ღვინის სადეგუსტაციო დარბაზი და მარანი. ყოველივე უნდა შეესაბამებოდეს მიმდებარე ისტორიული ადგილის ინფრასრტუქტურას. აღნიშნული პროექტის განხორციელებაში უნდა გაიღოს 250 000 ლარი.

ლოტის №	ქონების დასახელება და მისამართი	არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობის ფართობი (კვტ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)
1.	ს. გრემი (ბოლია)	5271	-	57.10.54.036	26355	5271	1318	50

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA990130850902217

№ 814 29 / სექტემბერი / 2017 წ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო (პირობიანი) აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტის; 61-ე მუხლის მესამე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის; ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებისა და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის №4 დადგენილების „ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ თანამხმად

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს პირობიანი საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი №1).

2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს მალხაზ ხიზანიშვილს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 მაისის №330 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის „საპრივატიზაციო და სააუქციონო“ კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. სანაპიროს #24).

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი — მალხაზი ხიზანიშვილი

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

1.მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს

საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა

გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%–ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563394; 300563390

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია, მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები(საჯარო აუქციონის პირობები), მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებული მოთხოვნები და მოთხოვნისთანავე, მათი შესრულების თაობაზე წარუდგინოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ქონების მმართველს.

6. ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ:

ა) მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების გადაუხდელი ნაწილის 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ბ) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, განსახორციელებელი ინვესტიციის დარჩენილი ნაწილის 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

გ) მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ სხვა სააუქციონო და ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველ დარღვევაზე ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05%-ს.

7. ოქმისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა მუნიციპალიტეტის ქონების მმართველის მიერ განიხილება საჯარო აუქციონის შედეგების (ოქმის) გაუქმების საფუძვლად.

8. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, უფლებამოსილია გადაწყვიტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი, აგრეთვე პრივატიზებული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების საკითხი, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა.

9. აუქციონში გამარჯვებული პირი პირობებიანი საჯარო აუქციონის შემთხვევაში საჯარო აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში, იხდის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრულ ღირებულებას. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენმა, ოქმსა და ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე უნდა შეიტანოს თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ საჯარო აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს ან/ და საგარანტიო თანხას/ბეს და სრული ღირებულების ოდენობას შორის სხვაობას.

10. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების შესაბამისად.

11. აუქციონი ტარდება 2017 წლის 2 ნოემბერს 16 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2017 წლის 4 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1

12. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტის და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1 – ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი 599 855 993 ; 599 855 966; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი

გემშვიდობებით, ბატონო ნოდარ!

ყვარელმა კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი დაკარგა. 26 სექტემბერს სამუდამოდ გამოვეთხოვეთ იმისთანა დიდბუნებოვან კაცს, რომელსაც ღმერთი მოუვლენს ხოლმე ამ ცოდვილ ქვეყანას.

ოდითგანვე ასე იყო და ამჟამადაც ასეა, წინასწარ არავინ იცის უფალი როდის გაუყენებს იმქვეყნიურ გზას. სამწუხარო ისაა, რომ სიჭარმაგეს მიღწეული მეგობრები, ნაადრევად ტოვებენ საწუთროს. ჯერ კიდევ ვერ მოგვიშუშებია ის ჭრილობები, რომლებიც ჩვენმა საუკეთესო მეგობრებმა: ოთარ ქანდაურიშვილმა, მერაბ სეფაშვილმა, შუქრი გელაძემ, ნიკოლოზ სეფაშვილმა, სულიკო მამულაშვილმა და კიდევ ვინ მოთვლის რამდენია, რომელთაც სამოც წელს გადაცილებულებმა დატოვეს ეს წუთისოფელი. ახლა კი შენ, ჩვენო ძმაო, ჭრილობები გაგვიახლე.

61 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი პიროვნება ნოდარ (კვარტალა) ხუტილაშვილი, ექიმებმა რა არ იღონეს ჩვენო ნოდარ, მაგრამ სიკვდილი ვერ დაამარცხე და ნაადრევად გაუდექი იმქვეყნიურ გზას.

ჩვენო ნოდარ, ამ ქვეყნად რაც იცხოვრე, ვაუკაცურად განვლე წუთისოფელი და სახელი არასოდეს შეგირცხვენია. იყავი ერთგული მეგობარი, უბოროტო და გაჭირვებულების ყოველთვის მხარში მდგომი. გიყვარდა მეგობრებში და მეზობლებში ქეიფი და სუფრა ისე როგორ დამთავრდებოდა, რომ შენ და გიბრიას ქართული საქეიფო სიმღერებით არ დაგემშვენებინათ. საქვეყნოდ ცნობილი შრომისმოყვარე მშობლების ხელში გაიზარდე, მაგრამ ქალბატონი ნელი და ბატონი გიორგი ადრეულ ასაკში გარდაიცვალნენ და გაუსაძლისი წლების პერიოდში იძულებული გახდით შენ ძმასთან ერთად ფიზიკური შრომით გადაგერჩინათ ოჯახები.

ამაყობდი, რომ კარგი შვილები გაზარდე, ნათიას ბედნიერებას მოესწარი, მაგრამ გიორგი დასაოჯახებელი დაგრჩა და რასაკვირველია, წუთისოფლიდან გულმოკლული წახვედი, რადგანაც გიორგის შვილებს პაპობა ვერ გაუწიე.

ბედის ირონიაც ამას ჰქვია, 27 სექტემბერს 61 წლის ხდებოდი, ფიქრობდი ახლობლებთან და სამეგობროსთან მოგელხინა, სამწუხაროდ ამ დღეს ვეღარ დაესწარი.

გემშვიდობებით ბატონო ნოდარ, მაგრამ გწამდეს, რომ შენგან მონიჭებული სითბო და სიყვარული ჩვენს გულებში არასოდეს განელდება, ხშირად გაგიხსენებთ.

ღრმად გვწამს, ამ ქვეყნად გამორჩეულს, უფალი თავის ცათა სასუფეველში ღირსეულთა შორის დაგიმკვიდრებს ადგილს.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი კეთილი, ალალი სული, ილოცე იქიდან შენი შვილებისა და შვილიშვილების ბედნიერებისათვის.

სამეგობროს სახელით
ალექსანდრე გიგილოშვილი

მშვიდობით, ირა მასწავლებელო!



ახლა ბევრნი აღარ არიან თქვენი ის ნამოწაფრები, რომელთაც თქვენი პირველი ნაბიჯები ახსოვთ სკოლაში. სულ ახალგაზრდა იყავით მაშინ, 1945 წელს, ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელობის პირველ საშუალო სკოლაში რომ დაიწყეთ მუშაობა. მას მერე ერთგულად, სიყვარულით, მაღალი პროფესიონალიზმით ემსახურეთ არჩეულ პროფესიას.

არის პროფესიები, რომელთაც რიგიანად ვერ გაართმევ თავს, თუ ღვთით არა გაქვს სწორედ ამ საქმისათვის მოცემული ნიჭი. მათ შორის არის პედაგოგობა. თქვენ სწორედ ეს ნიჭი გქონდათ, თქვენ სწორედ რომ მოწოდებით მასწავლებელი იყავით — ერთდროულად მასწავლებელიც და აღმზრდელიც. ცოდნასაც საუცხოოდ გადმოსცემდით და მოსწავლესთან დამოკიდებულებაც არასოდეს გეშლებოდათ — მისი ღირსეულ მოქალაქედ აღზრდა უკანა პლანზე არასოდეს გადაგიწევიათ. როგორ გაგიხარდებოდათ ხოლმე უმაღლეს სასწავლებელში ახალი ჩარიცხულები პირველი სემესტრის ბოლოს რომ გეტყოდნენ, პირველი ჩათვლა რუსულში მივიღეთო. ისიც როგორ გესიამოვნათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა რომ გამოაცხადა, პროვინციიდან ასეთი ძლიერი სტუდენტი ჩემ საგანში (რუსული ენა და ლიტერატურა) არ მყოლიაო. იმ სტუდენტმა კარგად იცოდა, რომ ეს ძირითადად თქვენი დამსახურება იყო. იმიტომაც მოგახარათ ეს ამბავი.

იუმორიც როგორი გქონდათ! როგორ გახალისებდათ ერთი თქვენი მოწაფის ნათქვამი — ჩემ წონაში, რუსულ გრამატიკაში ვინც გინდათ გამომიყვანეთო. სხვა საგნებში მაინცდამაინც არ ბრწყინავდა ის მოსწავლე, რუსულ გრამატიკაში კი გული ერჩოდა, შეჯიბრშიც კი იწვევდა მსურველთა.

ჩვენი მაშინდელი დიდი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მოხვედრილებს როგორ გვადგებოდა ხოლმე თქვენი ნასწავლები რუსული.

პროფესიული დაავადება რომ დაგემართათ და პარტიის რაიკომში გადაგიყვანეს სამუშაოდ (სადაც ასევე თქვენთვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობით ასრულებდით დაკისრებულ საქმეს), როგორ პროტესტს გამოთქვამდნენ თქვენი მოსწავლეები, რაიკომის შენობასთანაც კი მოდიოდნენ, დაგვიბრუნეთ ჩვენი ირა მასწავლებელიო.

რამდენჯერ გვიფიქრია, რატომ გვიყვარდით ასე გამორჩეულად თქვენ, ირა მასწავლებელო? — ალბათ იმიტომ, რომ თვითონ გიყვარდით ჩვენ; თქვენ გიყვარდათ ბავშვები, თქვენი მოსწავლეები. ერთი თქვენი მოსწავლე ყვებოდა, ერთხელ ნარბენი, გაოფლიანებული შევედი გაკვეთილზეო. ირა მასწავლებელი მომიახლოვდა, კისერთან ხელი ჩამიყო, მომისინჯა ზურგი, რომელიც სულ სველი მქონდა, ისევე, როგორც ხალათი და მითხრა: გაიქეცი ახლა სახლში, ტანსაცმელი გამოიცვალე და ისე დაბრუნდიო... აი, ასეთი მშობლიური იყავით და ამიტომაც გვიყვარდით. განა შეიძლება მშობელი არ გიყვარდეს?!

ძალიან დაგვწყვიტეთ გული, ირა მასწავლებელო. მალე მეორმოცე დღეა თქვენი გარდაცვალებიდან. წარდგებით უფლის წინაშე და გვჯერა, გამართლდებით, რადგან ნამდვილად ღირსეულად განვლეთ წუთისოფელი, მოიხადეთ ვალი ღვთისა და კაცისა წინაშე — მთელი თაობები გყავთ აღზრდილი და გზაზე დაყენებული. პირნათელი ხართ ქალის უპირველესი მოვალეობის — შვილების და შვილიშვილების აღზრდაშიც. თქვენი სამაგალითო ოჯახის ნამდვილი ბურჯი ხომ სწორედ თქვენ იყავით; ოჯახისა, რომელსაც ასე დააკლდით. თქვენ ასევე სამაგალითო, თავმდაბალი და განათლებული შვილების, — სოსო და გალინა ხარებაშვილების დედა იყავით.

ვალი ღვთის წინაშეო, ვამბობთ. დიახ, ბოლო წლებში ეკლესიური ცხოვრება დაიწყეთ, თქვენს მდიდარ გამოცდილებას ახლა უკვე სხვაგვარად იყენებდით — სასულიერო ლიტერატურას თარგმნიდით, ღვთის სიტყვის ადამიანებამდე მიტანას ემსახურებოდით. ერთ რამეზე ძალიან გწყდებოდათ გული — ადრე რომ ასე ახლოს ვყოფილიყავი ღმერთთან, ბავშვებს უფრო მეტს ვესაუბრებოდი მასზე, დედა ღვთისმშობელზე, წმიდანებზე, ღვთის მცნებებს ვაზიარებდიო, ამბობდით. გვჯერა, ასეც იქნებოდა. მაგრამ რას ვიზამთ... უფლისაგან კეთილი სურვილიც შეიწირება.

მშვიდობით, ჩვენო საყვარელო ირა მასწავლებელო, ყვავილებით მოფენილი ყოფილიყოს თქვენი გზა მარადისობაში.

თქვენი ნამოწაფრები

შენს გარეშე ...

28 აგვისტო იყო, მარიამობა, ღვთისმშობლის მიძინების დღე... სანამ შენთან მოვიდოდი, ვფიქრობდი, დღეს ბებო ალბათ უკეთ დამხვდება, პარაკლისს ნავუკითხავ, ვისაუბრებთ, დღეს ერთად გავატარებთ მეთქი. მაგრამ რომ მოვედი, შენებურად სიხარულით ვეღარ შემხვდი, მივხვდი დასასრული მოახლოვებული იყო. ვიჯექი შენს გვერდით, შენი ხელი ხელში მეჭირა და ვგრძნობდი, როგორ ცივდებოდა... გიყურებდი და ყველაზე საშინელი განცდა მეუფლებოდა — განცდა უმწეობის, უსუსურობის, უიმედობის... მერე პარაკლისი წავიკითხე, მეტყველება უკვე წართმეული გქონდა, თუმცა მისმენდი. მერე ვიგრძენი, რომ ჩემთან აღარ იყავი, მხოლოდ გული გიცემდა, გული, რომელიც უდიდესი სიყვარულით იყო სავსე. გული, რომელიც დაუღალავად ძგერდა ჩვენთვის, შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილებისათვის...

მალე ორმოცი დღე გავა, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ. მივდივარ შენს სახლში, ჩემს მშობლიურ სახლში და ვგრძნობ, რომ იქ აუტანელი სიცივეა, ყინული, რომელიც არ დნება და სიტყვებს „შენ შემოგევლოს შენი ბებიკო“ აღარავინ მეუბნება... მიმყავს ხოლმე ჩემი ქეთოც, „ქეთი გოგო“, როგორც შენ ეძახდი ხოლმე, თუმცა მალევე უკან ვბრუნდებით. ძველებურად აღარ, მაგრამ ისევ გვაცილებს მზერა შენი გადიდებული და ძალიან თბილი ფოტოდან და თითქოს ისევ ჩამესმის შენი ხმა, გენაცვალოთ ბებოო. ეს მდგომარეობა გაუსაძლისია...

შენს გარეშე გადის დრო, შენს გარეშე გადის დღეები, შენს გარეშე მივიყვანე „ქეთი გოგო“ შენს სათაყვანებელ და მშობლიურ პირველ სკოლაში, შენს გარეშე ვისწავლით რუსულ ენასა და ლიტერატურას, პუშკინის ლექსებს, კრილოვის იგავ-არაკებს, შენს გარეშე გაგრძელდება ცხოვრება. მაგრამ მე შენს გარეშე ძალიან მიჭირს, ბებო...

ირინა

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

ეკა ბაღაღოშვილი-პატარქლიშვილის მონატრება

შვილო, ეკა, მოვიდა შემოდგომა, რომელსაც ჩემთვის ძალიან დიდი ტკივილი მოაქვს. ეს ტკივილი უშენობაა. ნეტავ არ თენდებოდეს 2 ოქტომბრის დილა, რომელმაც შენს და ჩემს სიცოცხლეს დაუსვა წერტილი. შენ მარტო არასდროს ყოფილხარ და ახლაც მუდამ ჩვენთან ხარ.

ცხოვრება გრძელდება — ეკატერინე ოთხი წლის გახდა. მალე მეორეც გვეყოლება, რომელსაც ჩავუნერგავთ სათნო, ახალგაზრდა ბებოს სიყვარულს.

ჩემო შვილო, ერთი წელი 2 ოქტომბრის დილას გახდება, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ. მე ძალიან მიჭირს უშენობა. გთხოვ შენთან მალე მომიყვანოს ჩემმა ბედისწერამ, რათა გამიკვლიო გზა შიშისა და ფიქრის გარეშე. მალე ჩაგიკრა გულში, რომ მიყვარხარ, მიყვარხარ და მენატრები. ილოცე შენი შვილებისთვის.

დიდი ხანი ებრძოდი შენს მოურჩენელ დაავადებას, მაგრამ მაინც ფარხმალს არ ყრიდი, იმედი გქონდა, რომ არ გაიწირებოდი და იცოცხლებდი შენი შვილებისთვის, შვილიშვილებისთვის, მაგრამ ეს ცხოვრება ხომ ყველასთვის წუთისოფელია, და შენც ეს გარგუნა უფალმა. ღმერთმა ნათელი გზით გატაროს იმ გზისკენ, რასაც მარადიული ცხოვრება ჰქვია.

გულისტკივილით დედაშენი

კოტე და გია ბაღაღოშვილები ოჯახებით მწუხარებაში თანაუგრძნობენ გიორგი და ოთარ ხუტილაშვილებს მამისა და ძმის ნოდარ ხუტილაშვილის მოულოდნელად გარდაცვალების გამო.

გია სტეფანიშვილი ოჯახით მწუხარებაში თანაუგრძნობს გიორგი და ოთარ ხუტილაშვილებს მამის და ძმის ნოდარ ხუტილაშვილის მოულოდნელად გარდაცვალების გამო.

კუჭატნის მე-4 ბაღის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ბაღის ლოგოპედს თამარ ბიძინაშვილს მამის, ზაზა ბიძინაშვილის გარდაცვალების გამო.

ფრთხილად – შეცდომები კვებაში! 9 კგ-მდე ტოქსინი ნაწლავებში

ნაწლავების მუშაობის დარღვევები უამრავ ადამიანს აწუხებს. ექიმები აღნიშნავენ, რომ კუჭ-ნაწლავის რეგულარული წმენდა (კვირაში 3-4-ჯერ) – კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ჯანმრთელობის საწინდარია.

როგორ დავარეგულიროთ ნაწლავების მუშაობა

ყურადღება უნდა მივაქციოთ რაციონს: დავლიოთ მეტი წყალი, მენიუში ჩავრთოთ უჯრედისით მდიდარი პროდუქტები (ხილი, ბოსტნეული, რძის პროდუქტები).

უნდა ვისწავლოთ გრაფიკის მიხედვით კვება, ამგვარად, ორგანიზმს გაუადვილდება რეგულარული გაწმენდა. თუ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეკრულობა გაწუხებთ, მოამზადეთ ეს სამკურნალო სასმელი. იგი დაგეხმარებათ სასარგებლო მიკროფლორის აღდგენაში და დაარეგულირებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობას.

საჭირო მასალა

- 1 ჩ.კ. თაფლი
- 200 გრ წყალი
- 1 ჩ.კ. სელის თესლი
- 1 ს.კ. ჩიას თესლი (ესპანური სალბი)
- 1 ვაშლი

მომზადება

დაჭერით ვაშლი კუბებად. მოათავსეთ ბლენდერში ყველა ინგრედიენტთან ერთად და მოურიეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე.

დააყენეთ სასმელი 1 საათით.

მიიღეთ სასმელი ყოველ დილით უზმოზე, საუზმემდე 30 წუთით ადრე. მკურნალობის ხანგრძლივობა – 2 კვირა. ჩიას თესლი ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის დაჩქარებას და წონაში დაკლებას.

რა ცვლილებებს იწვევს წითელი ღვინო მათ ორგანიზმში, ვინც ნაკლებად აქტიურ ცხოვრებას მისდევს — კვლევის საინტერესო შედეგი

საფრანგეთის ერთ-ერთი ცნობილი სამეცნიერო ცენტრის მეცნიერების მიერ ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ წითელი ღვინის ნებისმიერი სახეობა სასარგებლოა მათთვის, ვინც ნაკლებად აქტიურ ცხოვრების წესს მისდევს. წითელი ყურძნით დამზადებული ღვინის შემადგენლობაში ის აქტიური და მნიშვნელოვანი ინგრედიენტი შედის, რომელსაც რესვერატოლი ჰქვია.

რესვერატოლი მღრღნელთა ორ ჯგუფზე გამოსცადეს. შედეგად, მღრღნელებს, რომლებიც სისტემატურად ღებულობდნენ ამ ინგრედიენტს, ის მექანიზმები გამოუმუშავდათ, რაც დადებითად მოქმედებს მთელ ორგანიზმზე. მიღებული მონაცემებით დადგინდა, რომ პერიოდული დატვირთვა (განსაკუთრებით ფიზიკური) ყველასთვის ძალიან მნიშვნელოვანი, თუმცა ზოგიერთისთვის საკმაოდ პრობლემატურია.

ფიზიოლოგების განცხადებით, წითელი ღვინო აფერხებს იმ ნეგატიურ გავლენას, რომელსაც ე.წ. „ზარმაცი“ ცხოვრების წესი იწვევს. თუმცა, არც მუდმივი კონტროლი დაივიწყოთ და აუცილებლად შეზღუდული რაოდენობით მიირთვით წითელი ღვინო.

ფუტკრის ძირითადი დაავადებების მკურნალობა ბიომეთოდებით

ფუტკრის მკურნალობა ბიომეთოდებით

დაიმახსოვრეთ! ქიმიური წამალი, რომელსაც ჩვენ ვხმარობთ ფუტკრის ოჯახის სამკურნალოდ, გადადის თაფლში. თაფლიდან გადადის ადამიანში თავისი შემცველობით. ამიტომ ეკოლოგიურად სუფთა თაფლის მისაღებად უნდა ვეცადოთ გამოვიყენოთ ბუნებრივი სამკურნალო საშუალებები.

ტკიპების ჩამოსაყრელად ინერტული მასალების შეფრქვევა

ვაროას ტკიპები ფუტკრებზე მაგრდებიან ფეხების ბოლოზე არსებული ჩაღრმავებებით. თუ ისინი ამოიცსო ინერტული მასალის წვრილი მტვრით, ტკიპი კარგავს ფუტკარზე დამაგრების უნარს და ძირს ეცემა. ამ მიზნით იყენებენ კარტოფილის ფქვილს, შაქრის პუდრს, ტალკს, თამბაქოს მტვერს.

ყველა ეს ნივთიერება იწვევს ფუტკარზე მსხდომი ტკიპების ცვენას. ამათგან სხვაზე უვნებელი და ადვილად ხელმისაწვდომი შაქრის პუდრია. მას შედეგიანად იყენებენ პოლონელი მეფუტკრეები. ისინი თითოეულ ოჯახში აფრქვევენ 25-50 გრამ პუდრს 5-6 დღეში ერთხელ.

ცხარე, წითელი წიწაკის ნაყენი ვაროატოზის საწინააღმდეგოდ

ვაროატოზის საწინააღმდეგოდ რეცეპტი და გამოყენების მეთოდი შემდეგია: ნაყენის მოსამზადებლად მაკრატლით ან დანით იჭრება 50-60 გრ გამხმარი წითელი წიწაკა 1სმ-იან ნაჭრებად, იყრება თერმოსში და ესხმება ერთი ლიტრი მდუღარე წყალი. ნაყენი იხუფება და ჩერდება 10-20 საათს.

მიღებული ნაყენი შეიძლება შევასხუროთ ჩარჩოზე მსხდომ ფუტკარს. შესხურება შეიძლება ბარტყიან ჩარჩოებზეც. შესასხურებელ 1 ლიტრა ნაყენს ემატება 200 მლ რძე და 200 გრ შაქარი. ამ დროს ჰაერის ტემპერატურა 15 გრადუსზე ნაკლები არ უნდა იქნეს. შესასხურებლად ვიყენებთ ხელის პულვერიზატორს, ან საღებავების გამფრქვევს.

შესხურება ტარდება ადრე გაზაფხულზე თაფლის გამოწურვის შემდეგ და შემოდგომაზე, უბარტყო პერიოდში. თუ ოჯახს ბარტყი არ ჰყავს, მაშინ ერთხელ შესხურებაც საკმარისია. როცა ბარტყი ჰყავს, წიწაკის ნაყენს ვასხურებთ სამჯერადად 5-6 დღის ინტერვალით. იმავე ნაყენით შეიძლება დავამუშაოთ ზაფხულის განმავლობაში შექმნილი უბარტყო ხელოვნური, ან დაჭერილი ბუნებრივი ნაყარები.

ნიორის წყალხსნარი და ექსტრატი

ნიორის წყალხსნარი მზადდება შემდეგი პროპორციით. 200 გრამ ხორცის საკეპ მანქანაში გატარებულ ნიორს ვათავსებთ მინის ქილაში და ვასხამთ 500 მლ წყალს. ქილას 24 საათით ვათავსებთ მაცივარში. წყალხსნარს ვასხურებთ ჩარჩოებს ბუდეში ჩალაგების წინ, გამოიყენება ფუტკრის ოჯახების შეერთებისასაც.

ნიორის ექსტრატი მზადდება შემდეგნაირად: ვიღებთ 200 გრამ გატარებულ ნიორს, ვასხამთ 500 მლ 70X-იან სპირტს ან არაყს, ვაჩერებთ 14 დღეს მაცივარში. ასევე ვიღებთ 20 გრამ დინდგელს და ვასხამთ 500 მლ ისეთივე სპირტს და მასაც ვაჩერებთ 14 დღეს მაცივარში. ვფილტრავთ, შევურევთ თანაბარი რაოდენობით და ვაძლევთ 5 მლ-ს 1 ლიტრ სიროფზე. ეძლევა 200 გრამი სიროფი ოჯახზე 7 დღის განმავლობაში ადრე გაზაფხულზე. მოქმედება: ასკოსფეროზის პროფილაქტიკა, ფუტკრის სტიმულაცია.

ქრისტესისხლას ნაყენი

ქრისტესისხლა გამოიყენება ყვავილობის დროს როგორც ნედლი ასევე ხმელი. მცენარე შხამია. 100 გრამ ახალ მცენარეს ყრიან ახალგადმოდულებულ 2.0 ლიტრ წყალში. 25-30 წუთის შემდეგ მიიღება ნაყენი. გამხმარი ქრისტესისხლა გამოიყენება აპრილში, აგვისტო-სექტემბერში. 6 სუფრის კოვზი იყრება 2.0 ლიტრ წყალში და ადუღებენ 5 წუთის განმავლობაში, ასხურებენ ჩარჩოებს ჩალაგების წინ, სკის კედლებს, ძირს. სისტემური გამოყენებისას ფუტკარი კარგად მიდის ზამთარში. მოქმედება: ანტისეპტიკური, კარგია ასკოსფეროზის და სიდამპლეების საწინააღმდეგოდ.

ბეგქონდარა

ბეგქონდარას ყვავილობის ფაზაში ახლად მოჭრილ მწვანე მასას ვატარებთ მანქანაში. ვიღებთ 100-150 გრამს და ვდებთ ორმაგ დოლბანდში. ედება ჩარჩოებს ზემოდან საფარი ტილოს ქვეშ. ბარტყიანობის დროს 12-15 დღეში ვცვლით. 1,5-2 თვეში ფუტკრის ოჯახი მთლიანად თავისუფლდება ტკიპიდან.

ცხარე, წიწაკის ნაყენის გამოყენება ნოზემატოზის საწინააღმდეგოდ

ვამზადებთ მწარე წიწაკის ნაყენს ზემოთ აღწერილი მეთოდით. მიღებული ნაყენის ერთი სუფრის კოვზი ერევა შაქრის სიროფს და ეძლევა ნოზემატოზით დაავადებულ ფუტკრის ოჯახს სამჯერადად 5-7 დღის ინტერვალით, 100-150 გრამი ერთ ჩარჩო ფუტკარზე. აღსანიშნავია, რომ მწარე წიწაკის ნაყენი ძალიან მდიდარია ვიტამინებით, რითაც ხელს ვუწყობთ ფყუტკარს ოჯახის გამრავლებაში.

პრეპარატი KAC-81

ამ პრეპარატის სახელი მისი შემქმნელების გვარების სანყისი ასოებია. იგი ფიჭვის კვირტებისა და მწვავე აბზინდის ნახარშია, მომწარო გემოს ყავისფერი სითხეა. ფიჭვის კვირტებს ახალგაზრდა ყლორტებთან ერთად ამზადებენ ადრე გაზაფხულზე. ყლორტის სიგრძე 4-5 სმ-ს არ უნდა აღემატებოდეს.

მწარე აბზინდა მზადდება ორ ჯერზე. პირველად გაზაფხულზე ფოთლები, ხოლო მეორე – ყვავილობის ფაზის დაწყებისას. ყველა შემადგენელი ნაწილი დამზადების შემდეგ შრება ჩრდილში და ინახება ქაღალდის ან ტილოს ტომრებში. ფიჭვის კვირტები შეიძლება ჰომეოპათიურ აფთიაქებშიც შევიძინოთ.

პრეპარატის დამზადების რეცეპტურა შემდეგია: 50 გრ ფიჭვის კვირტებს, 50 გრ გაზაფხულის აბზინდას, 900 გრ ყვავილობის ფაზაში შეგროვებულ აბზინდას ჩაყრიან ემალირებულ ქვაბში, ასხამენ 10 ლ წყალს და ადუღებენ ნელ ცეცხლზე 2-3 საათის განმავლობაში. მიღებული ნახარში რჩებაა დათბუნებულ მდგომარეობაში რამოდენიმე საათს.

30-35 მლ ნახარში ერევა ერთ ლიტრ სიროფს. სამკურნალო სიროფი ეძლევა 3-4-ჯერ ადრე გაზაფხულზე ან საშემოდგომო მზადებისას 100-150 მლ-ის ოდენობით ყოველ ჩარჩო ფუტკარზე. აღნიშნული ნახარში შეიძლება შეერიოს ყანდთან ერთად შაქრის პუდრს (50 მლ ყოველ კილოგრამზე). სამკურნალო პრეპარატი ეძლევა ოჯახს როგორც თებერვალ-მარტში, ასევე აგვისტო-სექტემბერში დაზამთრების წინ.

პრეპარატი „პჩოლკა“ და მისი გამოყენება

პრეპარატი „პჩოლკა“ ნივრისა და ფიჭვის წიწვების ეკსტრაქტია. იგი გაუმჭვირვალე სქელ ვაჟინისმაგვარ სითხეს, აქვს სპეციფიკური ნივრის სუნი, დაფასოებულია 60 მლ ჭურჭელში. მეფუტკრეობაში მისი გამოყენება რეკომენდებულია ასკოსფეროზის, ვარიატოზის საწინააღმდეგოდ და დედა ფუტკრის საგაზაფხულო კვერცხდების სტიმულირებისათვის.

ეს პრეპარატი 1998-2000 წლებში კომპლექსურად შემოწმდა რიბნოეს მეფუტკრეობის აკადემიაში.

ცდებით დადგინდა, რომ:

1. პრეპარატი 27%-ით ადიდებს ფუტკრის ოჯახში ბარტყის რაოდენობას.

2. შაქრის სიროფთან კვებისას მისი ასკოსფეროზის საწინააღმდეგო ეფექტურობა 80-88%-ია.

3. წვეთოვანი გზით ჩარჩოებს შორის ჩასხურებისას – 70-78%.

4. ჩარჩოებზე 10-12 მილილიტრის ოდენობით შესხურებისას კი ეფექტურობა 90-92% აღწევს.

ასკოსფეროზის წინააღმდეგ იგი უფრო ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე ასკოცინი. მისი გამოყენების წესი ასეთია:

1. როდესაც არ არის ასკოფეროზით დაავადების საშიშროება, და „პჩოლკას“ პროფილაქ-ტიკისა და ფუტკრის ოჯახის სტიმულირებისთვის ვიყენებთ. 3 მლ პრეპარატი გაერევა 1 ლ სიროფს, რომელსაც ჩავასხამთ საკვებურებში ან ცარიელ ფიჭებში – 100-150 გრამის ოდენობით ყოველ ჩარჩო ფუტკარზე. სამკურნალო სიროფი მიეცემა ოთხჯერ სამი-ოთხდღიანი ინტერვალით.

2. ასკოსფეროზის შემთხვევაში 1 ლ სიროფს უმატებენ 10 მლ პრეპარატს და აძლევენ ფუტკრის ოჯახებს ზემო აღნიშნული რაოდენობითა და ჯერადობით. წვრილ ნაკადად ჩარჩოებს შორის ჩასხმის მეთოდს მიმართავენ როცა ტემპერატურა 150ჩ-ზე დაბალია და შაქრის გაჭირვებაა. სამკურნალო სიროფს ამზადებენ ხმარების წინ. ყოველ 100 გრ შაქარის სიროფს უმატებენ 3 მლ პრეპარატს და მორევით აზავებენ. მიღებულ სიროფს ასხამენ ჩარჩოებს შორის 10-15 მლ რაოდენობით თითო ჩარჩო ფუტკარზე. სანკურნალო სიროფი შეაქვთ 3-4 ჯერადად 3-დღიანი ინტერვალით.

4. აეროზოლური მეთოდით (შესხურებით). ყოველ 100 გრ. წყალს უმატებენ 6 მლ. პრეპარატს და ურევენ. მიღებულ ხსნარს ასხურებენ ყოველ ჩარჩო ფუტკარს 10-15 მლ რაოდენობით. სამუშაო სრულდება 3-ჯერადად 3 დღიანი ინტერვალით. ბოლო დამუშავებიდან 14 დღის შემდეგ ფუტკრის ოჯახებს ათვალიერებენ.

თუ აღმოჩნდა ასკოსფეროზით დაავადებული ბარტყი, მკურნალობას იმეორებენ. პროფილაქტიკის მიზნით სრულიად საკმარისია წელიწადში პრეპარატის ორჯერადად გამოყენება.

ფიჭვის წიწვის ექსტრაქტი ვაროატოზის საწინააღმდეგოდ

ფიჭვის წიწვის ექსტრაქტი ჩვენც შეგვიძლია დავამზადოთ. ამისთვის უმჯობესია ადრე გაზაფხულზე შეგროვებული მწვანე წიწვები და კვირტები. ისინი უნდა დავჭრათ კუნძზე ნაჯახით 2-3 სმიან ნაჭრებად. კუნძის ქვეშ უმჯობესია დავაფინოთ ბრეზენტი ან პოლიეთილენი, 1კგ დაკეპილ ფიჭვის წიწვებს ესხმება 4 ლ მდუღარე წყალი და კარგად დათბუნებული ინახება 10-12 საათს. 200 გრ. ექსტრაქტი ერევა 3 ლ სიროფს და ეძლევა ფუტკრის ოჯახს იგივე ჯერადობით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფიჭვის ექსტრაქტი ფუტკრის ოჯახზე სტიმულატორად მოქმედებს. გრიგორიევისა და პოლტევის მიხედვით 15-20%-ით ზრდის გაზაფხულზე ბარტყის რაოდენობას. ფიჭის ექსტრაქტის გამოყენების დროს ვაროა კარგავს გამრავლების უნარს, ამიტომ მას ვიყენებთ მთელი გაზაფხული აკაციის აყვავილებამდე და შემოდგომაზე ფუტკრის საშემოდგომო კვების დროს.

გაღაბეჭდილი სამამლე ბარტყიანი ჩარჩოების ამოცლა და განადგურება

მეთოდის საწყისს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სამამლე ბარტყში 4-ჯერ – 5-ჯერ მეტი ტკიპა შედის კვერცხის დასადებად, ვიდრე სამუშეში. აქედან გამომდინარე, ადრე გაზაფხულზე, როცა ოჯახში ბარტყიანი ჩარჩოების რაოდენობა 4-5-6-ს მიაღწევს, ბუდის შუაში ათავსებენ ასაშენებელ სამამლეუჯრედებიან, ან ჩვეულებრივი ხელოვნური ფიჭის წვრილ ზოლს („ნიმუშს“) მინებებულ ჩარჩოს, რომელზედაც ფუტკარი სამამლე უჯრებს აშენებს.

ეს ჩარჩო მასში სამამლე ბარტყის უმეტესობის გადაბეჭდვის შემდეგ ამოაქვთ ოჯახიდან. ამოღებულ სამამლე ბარტყიან ჩარჩოს ადნობენ. უმჯობესია, სამამლე ბარტყი გამოვიყენოთ ცხოველების, ფრინველების ან ფუტკრის საკვებად. ფუტკრის საკვებად ახლად დაბეჭდილი ბარტყი ხელით იჭყლიტება და მიღებული სქელი რძისმაგვარი სითხე ისხმება შავ ფიჭებში და ეძლევა ფუტკრებს. შეიძლება ეს გამონაწური გავასტერილოთ 3 ლიტრიან ქილებში და შევინახოთ შემოდგომისათვის ფუტკრის საკვებად.

ადრე შემოთავაზებული მეთოდი გადაბეჭდილი სამამლე ბარტყის დანით თავის გადაჭრისა და ისევ ოჯახში ჩაბრუნებისა ამჟამად უარყოფილია, რადგან ამ დროს იღუპებიან მხოლოდ ახალგაზრდა ტკიპები, მათი დედები კი ცოცხლად რჩებიან და აგრძელებენ გამრავლებას. გამოცდილი მეფუტკრის თეიმური ღოღობერიძის მიერ ჩატარებული იყო ცდები გადაბეჭდილ სამამლე ბარტყის ხელით ჩაჭყლეტაზე, რის შემდეგაც ზრდასრული ვაროას ტკიპები მამალი ფუტკრის გამონაწურში იხრჩობიან.

ასე რომ, ბ-ნ თეიმურაზის რჩევით შეგიძლიათ ახლად გადაბეჭდილი სამამლე ბარტყი თითებით ჩაჭყლიტოთ უჯრებში და ჩააბრუნოთ უკან ოჯახში. მას მუშა ფუტკრები თვითონ გადახსნიან, ამოწონვენ და გაასუფთავებენ. ასეთი სამამლე უჯრედებიანი ფიჭები აუცილებლად უნდა იყვნენ ზემოდან მონიშნული და ეს ოპერაციები ჩატარდეს ორ კვირაში ერთხელ. წინაღმდეგ შემთხვევაში ხელს შევუწყობთ ფუტკრის ოჯახში ვაროას ტკიპების გამრავლებას. ერთსა და იმავე პირობებში ვაროა ტკიპების გამრავლების კოეფიციენტი სამამლე ბარტყში 4-5-ის ტოლია, იმ დროს როცა სამუშე ბარტყში გამრავლების კოეფიციენტი მხოლოდ 2-ია.

ნოზემატოზის პროფილაქტიკა ბიომეთოდებით

ნოზემატოზი ფუტკრის ძალიან გავრცელებული და საშიში დაავადებაა. საქართველოში იგი ძირითადად ფარული ფორმით მიმდინარეობს ყველა საფუტკრეში. ჩვენთან ის კლასიკური ფორმით არ ვლინდება (ფაღარათით დასვრილი სკის კედლები, ჩარჩოები და მისაფრენი ფიცარი. ადრე გახაფხულზე ზანტად მცოცავი ფუტკარი და ერთი მუჭა ბარტყი).

მეფუტკრეები ამ დაავადების პროფილაქტიკასა და მკურნალობას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. არადა ეკონომიკური დანაკლისი ფუტკრის ნოზემატოზისგან ძალიან დიდია. ყურადღება უნდა მივაქციოთ ფიჭებისა და სკების დეზინფექციას. ფუტკრები ნოზემატოზით დაავადებულ დედა ფუტკრებს გაზაფხულზე მასობრივად ცვლიან, რითაც ფერხდება ოჯახის საგაზაფხულო განვითარება.

მწარე აბზინდის ნაყენი და ექსტრაქტი ნოზემატოზის პროფილაქტიკისთვის

ნოზემატოზის საწინააღმდეგოდ რუსი მეფუტკრეები იყენებენ მწარე აბზინდის სპირტის ნაყენს. ჭურჭელს, რომელსაც თავი კარგად უნდა ეხურებოდეს, სანახევროდ ავსებენ მწარე აბზინდის (რომელსაც ასევე ვერცხლისფერ აბზინდას ან სამკურნალო აბზინდას ეძახიან) დაკეპილი მასით. ჭურჭელი შეივსება ღვინის სპირტით, დროდადრო თუ შევანჯღრევთ, უკეთესია.

ერთ კვირაში ნაყენი მზადაა. ერთი სუფრის კოვზი ნაყენი ერევა ერთ ლიტრ სიროფს, რომელიც ყოველ ჩარჩო ფუტკარზე 100-150 მლ-ის ოდენობით ეძლევა ფუტკრის ოჯახს 3-ჯერ 5-7 დღის ინტერვალით.

ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ აბზინდის ნაყენი, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: ბაღის სეკატორით ვჭრით მწარე აბზინდას ორ-სამ სანტიმეტრიან ნაჭრებად და ვავსებთ 3 ლიტრიან ქილას. მას ესხმება მდუღარე წყალი, ეხურება პოლიეთილენის თავსახური და თბუნდება. გაცივების შემდეგ 0,5 ლ ექსტრაქტი ერევა 30-40 ლ სიროფს.

სამკურნალო სიროფი ზემოაღნიშნული დოზებით და ჯერადობით ეძლევა დაავადებულ ფუტკრის ოჯახს. ჩემი რჩევა იქნება, ნოზემატოზის პროფილაქტიკური მკურნალობა ჩაატაროთ ფუტკრის ოჯახის საზამთროდ მზადებისას და ადრე გაზაფხულზე.

იუზა გიგაშვილი

წყარო: bestbee.ge; სტილი დაცულია

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86